# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

№150 (9830) 2024 წლის 27 დეკემბერი, პარასკევი.

ფასი 1 ლარი




ჯო ბაიდენი



კარლ ბილდტი



მიხაილ როთი



ე. მაკრონი

# სტრატეგიული პარტნიორები: როდემდე, როდემდე, როდემდე?!

ომარ მარგველაშვილი

## როგორ მიიყვანა დიდმა დასავლეთმა პატარა საქართველო ნაძირალების დიქტატურამდე!



საქართველოს დაუძინებელი „მეგობრები“ – ევროპის სახალხო პარტიის ლიდერები

6-7

მიშო ჯავახიშვილი:

## ეს საქმე ეროვნულია, ქართულია, რაც ჩვენს ქვეყანას აძლიერებს და ამტკიცებს!



11

ლალი მოროშკინა:

## კარის გასაღები ისევ იმას აქვს, ვინც ის დაგმანა



2

### ღმერთმა არა ქნას!

ვანო ჩხიკვაძე



ასე იყო და
ასეა დღესაც,
წესი ადამის
და ევას მოდგმის,
რომ არ გაუხმეს
მომავალს ფესვი,
წამსვლელი მიდის,
მომსვლელი – მოდის!

ამოხსნილია
ყველა ქარაგმა –
შენც მიაბიჯებ
შემოდგომისკენ –
ღმერთმა არა ქნას,
ღმერთმა არა ქნას,
მხოლოდ წავიდეს
და არ მოვიდეს!

07.12.2024

9

„ბაიდენის ადმინისტრაცია კიდევ მიიღებს სანქციებს“

## გლობალური „სამართლის“ ბოლო აკორდი




4

ზამთარი გაძლებაზეა!

## აფხაზეთი დენის, ხელფასების, პროდუქტების, მედიკამენტების გარეშეა დარჩენილი!..



8



# პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია 29 დეკემბერს პარლამენტის სასახლეში გაიმართება!



**პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია 29 დეკემბერს 11:00 საათზე დაიწყება და დაახლოებით 40 წუთს გაგრძელდება, – ამის შესახებ პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა განაცხადა.**

**„კვირას, 29 დეკემბერს, გაიმართება საქართველოს პრეზიდენტის ინაუგურაციის ცერემონია. სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ კანონის შესაბამისად, ცერემონია იმართება პარლამენტის სასახლეში, კერძოდ სხდომათა დარბაზში. ცერემონია დაიწყება 11:00 საათზე და მისი ხანგრძლივობა დაახლოებით 40 წუთი იქნება. ცერემონიაზე დასასწრებად და მონაწილეობის მისაღებად მოწვეული არიან პრეზიდენტის საარჩევნო კოლეგიის წევრები, რომელშიც შედიან პარლამენტის წევრები, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები და ასევე აჭარისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წარმომადგენლები, საქართველოს მთავრობა, კონსტიტუციური ორგანოები, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის წარმომადგენლები.**

იცით, რომ გავავრცელეთ განცხადება ცერემონიის გაშუქებასთან დაკავშირებით. მედიას განსაკუთრებით ვთხოვ, რომ ყურადღება მიაქციოს, 29 დეკემბრისთვის იქნება სპეციალური აკრედიტაციები გაცემული. ვისაც აქვს სურვილი, გააშუქოს ეს ღონისძიება, მიმართოს საქართველოს პარლამენტის პრესცენტრს. ჟურნალისტებისთვის მოწყობილი იქნება მედიასივრცე ბე კორპუსის ნულ სართულზე რუსთაველის დარბაზში, სადაც შესაძლებლობა გექნებათ, ეკრანზე ადევნოთ თვალყური ინაუგურაციის ცერემონიას. ასევე ჩაწეროთ რესპონდენტები, თავად ინაუგურაციის პროცესის გადაღება უზრუნველყოფილი იქნება პარლამენტის მიერ და ასევე სიგნალი პირდაპირ ეთერისთვის მიეწოდება ყველა მედიასაშუალებას“, – განაცხადა პაპუაშვილმა.

**პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, პრეზიდენტის ინაუგურაციისთვის სპეციალურად დაიბეჭდა საინაუგურაციო კონსტიტუცია, რომელიც პარლამენტის მუზეუმში შეინახება.**

„მინდა, საზოგადოებას ვუთხრა, რომ ეს არის პირველი და ისტორიული მომენტი ჩვენთვის, რადგან ხდება საარჩევნო კოლეგიის მიერ არჩეული პრეზიდენტის ინაუგურაცია. როგორც ეს არის საერთოდ ტრადიცია, საპარლამენტო რესპუბლიკების ინაუგურაციის პროცესი იმართება პარლამენტის შენობაში. ჩვენ ამ ღონისძიებისთვის სპეციალურად დავბეჭდეთ საინაუგურაციო კონსტიტუცია, რომელიც პირველად იქნება ამ ღონისძიებაზე გამოყენებული პრეზიდენტის მიერ ფიცის დადებისთვის. შემდეგ ეს კონსტიტუცია შეინახება საქართველოს პარლამენტის მუზეუმში და ყოველ ჯერზე პრეზიდენტის ინაუგურაციისას იქნება გამოყენებული ზუსტად ეს ეგზემპლარი, ესეც თავისთავად დარჩება ისტორიული ეგზემპლარი. მისი სამი თანაბარწონადი ასლი დამზადდა, რომელთაგან ერთი პარლამენტის მუზეუმში განთავსდება, მეორეს გადავცემთ საქართველოს ეროვნულ ბიბლიოთეკას და ასევე სახელმწიფო არქივს“.

# ოცნებას“ ორბელიანების ციხე-სიმაგრის“ ალება მოუწევს!

## ლევან მაჭავარიანი:

**გაამაგრებენ პრეზიდენტის სასახლეს, საქმე შეიძლება გვქონდეს ჯგუფური დანაშაულის ჩადენასთან, რასაც კანონი მკაცრად უპირისპირდება**

**ოპოზიცია რასაც აანონსებს, რომ შევლენ და გაამაგრებენ პრეზიდენტის სასახლეს, საქმე შეიძლება გვქონდეს ჯგუფური დანაშაულის ჩადენასთან, ამ ყველაფერს კანონი ძალიან მკაცრად უპირისპირდება, – ამის შესახებ საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა ლევან მაჭავარიანმა განაცხადა.**



მისი თქმით, ოპოზიციის ინტერესშია ვითარების კიდევ უფრო დაძაბულობა,რომ საზოგადოებაში მეტი აჟიოტაჟი გამოიწვიონ.

„რამდენიმე დღეა, ვაკვირდებით პრეზიდენტთან რაღაც ტიპის კონსულტაციებს, რომელიც უკვე სახლობანას ჰგავს. პარლამენტის დათხოვნასთან, პარალელური პარლამენტის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ეს ყველაფერი აბსურდია. არავის არაფრის უფლება არ აქვს იმ ადამიანთაგან, პრეზიდენტის თამადობით, რომელიც იქ იკრიბება. ჩვენ ცხადად განვმარტეთ, თუ რა შეიძლება იყოს იმის საფუძველი, რომ ჩაინიშნოს ახალი არჩევნები, ასეთი საფუძველი ფიზიკურად არ არსებობს. დავაკვირდეთ, მოვლენები როგორ განვითარდება და საზოგადოებას რა მორიგ ტყუილში შეიყვანენ. ეს ყველაფერი ემსახურება საზოგადოების კიდევ უფრო მეტ გაუგებრობაში ყოფნას, თითქოს პრეზიდენტს რაღაც ინსტრუმენტები გააჩნია ან პარლამენტი დაითხოვოს, ან ახალი არჩევნები ჩანიშნოს. სალომე ზურაბიშვილს ამის არანაირი უფლებამოსილება არ გააჩნია“, – განაცხადა ლევან მაჭარაშვილმა.



**წარმავალი წლისა და, ზოგადად, ბოლო პერიოდის ერთგვარად შემაჯამებელი ბრიფინგი გამართა 26 დეკემბერს საქართველოს ჟურნალისტთა ფედერაციაში ცნობილმა პოლიტოლოგმა, მწერალმა და ჟურნალისტმა ლალი მოროშკინამ.**

– ყველაზე აღმაშფოთებელი, რაც ბოლო ხანს მოხდა, ალბათ, კარლ ბილდტის ის უპრეცედენტო განცხადებაა, რომ საქართველოს აწმყოსა და მომავალს არა ჩვენ, ქართველი ხალხი, არამედ ევროკავშირი, ევროპარლამენტი უნდა წყვეტდეს, – განაცხადა ქალბატონმა ლალი მოროშკინამ. – ესაა გაუგონარი სისასტიკე, რომელსაც საქართველოს მთავრობა აუცილებლად გასცემს საკადრის პასუხს.

წლების წინ მე გახლდით პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ეგრეთ წოდებული „ახალგაზრდა რეფორმატორების“ ჯგუფის წევრი, კონფლიქტების სფეროში მინისტრის მოადგილე და იმ დროს ჩვენ სოხუმშიც და ცხინვალშიც ჩამოვდიოდით, ხოლო მოლაპარაკებები იქამდე იყო მისული, რომ 2002 წლის მიწურულს პუტინ-შევარდნაძის ძალიან სერიოზული საუბარიც კი შედგა, რა დროსაც ლაპარაკი იყო ტერიტორიების დაბრუნებაზე. მაშინ ძალიან დიდი მოცულობის სამუშაო ჩატარდა კონფლიქტების სავალალო შედეგების აღმოსაფხვრელად, რაც იმას მოასწავებდა, რომ ძალიან ახლოს ვიყავით ბოდენის დოკუმენტის აღსრულებასთან, რომლის თანახმადაც ლტოლვილები თავიანთ სახლებს უნდა დაბრუნებოდნენ, მაგრამ მერე ქვეყანაში უცბად დაიწყო პროცესები, რომლებმაც ყველაფერ ამას წერტილი დაუსვა.

ქალბატონ ლალი მოროშკინას თქმით, შემდეგ ვანო მერაბიშვილმა ამერიკის შეერთებულ შტატებში უცბად განაცხადა, რომ საქართველოში ხელისუფლება უნდა შეცვლილიყო, მერე გათამაშდა ის შემდგომ „ვარდების რევოლუციად“ წოდებული გრანდიოზული სპექტაკლი, რომელიც ზუსტად იმ ხალხმა, მათ შორის კარლ ბილდტმა გაათამაშა, ვინც სათავეში ედგნენ იმ ლობისტურ კომპანიებს, რომლებიც საქართველოს წინააღმდეგ ილაშქრებდნენ. ყოველივე ამის ფარული მიზანი იმ სამშვიდობო მოლაპარაკებების შეწყვეტა იყო, რომელთა შედეგად საქართველოს კუთვნილი ძირძველი მიწები უნდა დაბრუნებოდა, თუმცა კი ხალხმისთვის ამ ფარსის მხილება ვერ მოხერხდა.

სააკაშვილი ხელისუფლების სათავეში სწორედ იმ რიტორიკით მოვიდა, თითქოს ის გააერთიანებდა საქართველოს.

# ლალი მოროშკინა: კარის გასაღები ისევ იმას აქვს, ვინც ის დაგმანა



– მაშინ მან მითხრა, რომ 2004 წელს შევიდოდით ცხინვალშიო, და გვერდში დადგომა შემომთავაზა, მე კატეგორიული უარი ვუთხარი თანამდებობაზე და სწორედ მაშინ გაიყო ჩვენი პოლიტიკური გზები, – თქვა ლალი მოროშკინამ – ცხინვალში კი პოლიციური ქვედანაყოფი შევიდა, აბსოლუტურად მოუმზადებელი ბიჭები, რომლებიც სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა კოკოითმა შემდეგ აგდებულად „დედებს გამოატანა“ და რომლებსაც შემდეგ ოქრუაშვილმა ცემით ლამის სულები ამოხადა ვარიანის სპორტულ ბაზაზე...

პოლიტოლოგმა აღნიშნა, რომ ამჟამად, როდესაც საქართველოს ტერიტორიაზე ავტობანის მშენებლობა სრულდება, მიმდინარეობს მოლაპარაკება ღრმაწყლოვანი ნავსადგურის მშენებლობაზე, ჩინეთი ჩვენი სტრატეგიული პარტნიორია და ქვეყანა რეალურად კავკასიის ეკონომიკური ჰაბი ხდება, ჩვენში კი ისევ ვითარების არევ-დარევის მცდელობებია. ეს იმ უწინდელი პროცესების გაგრძელებაა, რომელთაც იგივე ბილდტი და ის ლობისტები მართავენ, რომელთაც წლების მანძილზე კვებავდა სააკაშვილი.

მან ისიც გაიხსენა, რომ 2008 წელს სააკაშვილმა საქართველოს უმნიშვნელოვანესი სტრატეგიული ობიექტები რუსეთს გადასცა. მაშინ ასზე მეტი მსხვილი ქართული ბიზნესი დამკვიდრდა იქ, ისინი ამჟამადაც წარმატებით მოქმედებენ და ნახევარი მათგანი იმ ნაციონალებს ეკუთვნით, რომლებიც დღესდღეობით ქვეყანაში ანტისახელისუფლებო გამოსვლებს უხვად აფინანსებენ.

ქალბატონმა ლალი მოროშკინამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ „ჩაკეტილი კარის“ გასაღები იმას უნდა გამოვართვათ, ვინც ეს კარი გადარაზა. **ამდენად აფხაზეთისა და სამაჩაბლოს დასაბრუნებლად მოლაპარაკებები ისევ რუსეთთან უნდა გავმართოთ“.**

იგი ასევე შეეხო ორი დღის წინ სასტუმრო „ბილტმორში“ გამართულ ლიდერ ქალთა კლუბის „ძლიერი ქალი – ძლიერი სახელმწიფოს“ მე-10 თავყრილობას, რომელსაც თავად ქალბატონ ნათია შათირიშვილთან ერთად ხელმძღვანელობს და რომელშიც ათი ათასზე მეტი ქალბატონია გაერთიანებული. ეს ხდებოდა იმ დროს, როცა რუსთაველის პროსპექტზე, მისივე თქმით, „ოცი ვიღაცა, რაღაცა, საშუალო სქესის ქალი დაბოდიალობდა და იჩემებდა, თითქოს ისინი არიან ქალთა მარში, თუმცა კი ჩვენთან შემოსვლა ვერ გაბედეს, თორემ ძალიან ბევრი შეკითხვა გვექნებოდა მათთან“.

**ქალბატონ ლალი მოროშკინას აზრით, ყველას უნდა რომ დაეუფლოს იმ სტრატეგიულ მიმართულებას, რასაც დღესდღეობით მრავალი სახელი აქვს – სიცოცხლის გზა, აბრეშუმის ახალი გზა, შუა თუ აღმოსავლეთ-დასავლეთის დერეფანი, რომლის ჰაბი საქართველოა, რის გამოც ძალიან ბევრნი დიდად შეწუხებულნი არიან, ვითარებას გვირევენ და გარკვეულწილად ქვეყნის ეკონომიკასაც აზარალებენ, რაც, ტურიზმზე განსაკუთრებით უარყოფითად აისახება, მაგრამ იმის მტკიცე იმედი გამოთქვა, რომ, არსებულ სიძნელეთა მიუხედავად, მაინც მშვიდობიანად შევხვდებით ახალ წელს ახალ პრეზიდენტთან ერთად და „იმ“ საოცნებო გასაღებსაც მოვარგებთ დღევანდლამდე დაგმანულ კარს...**

**ოთარ ტურაბელიძე**

სიყვარული გადაგვარჩენს!

საქართველო რესპუბლიკა




## მეუფე შიო: ახალი ეპოქის მესაძირკვლე!

„თქვენო უწმინდესობავ და უნეტარესობავ, 25 დეკემბერი მთელი საქართველოსთვის ღირსშესანიშნავი და სასიხარულო დღეა. ჩვენ აღვნიშნავთ კათოლიკოს-პატრიარქის ტახტზე თქვენი აღსაყდრების 47-ე წლისთავს. მაქვს პატივი, საქართველოს სამოციქულო ეკლესიის, წმინდა სინოდის სახელით გულითადად მოგილოცოთ ეს მნიშვნელოვანი თარიღი. 1977 წლის 25 დეკემბერს სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში თქვენი აღსაყდრებით ჩვენი ეკლესიისა თუ ქვეყნისთვის ახალი ეპოქა დაიწყო. ეს იყო პერიოდი, როდესაც საქართველო დიდი გამოწვევების წინაშე იდგა და წინ ურთულესი ათწლეულები გველოდა. ამიტომ ეკლესიის მეთაურს მართებდა განსაკუთრებული მოთმინების, სიბრძნის, მოწყალების და სიყვარულის გამოვლინება. ჩვენ ვმადლობთ უფალს, რომ მან თქვენი სახით სწორედ ასეთი თვისებების მქონე სულიერი წინამძღოლი მოგვივლინა“!

## ბიძინა ივანიშვილმა ილია მეორეს აღსაყდრებიდან 47-ე წლისთავი მიულოცა

„დიდი პატივისცემითა და სიყვარულით ვულოცავ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსს, ბიჭვინთისა და ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტს, უწმინდესსა და უნეტარესს ილია მეორეს აღსაყდრებიდან 47-ე წლისთავს.

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისთვის 25 დეკემბერი ისტორიული მნიშვნელობისაა.

წლების სვლასთან ერთად, კიდევ უფრო თვალსაჩინოა, რომ 47 წლის წინ საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესიის ისტორიაში ახალი ერა დაიწყო.

ჩვენი უწმინდესი, ჩვეული სიბრძნით, ზნეობისა და ადამიანთა სიყვარულის დიდი უნარით კვლავ შეუდრეკლად დგას ჩვენი – მისი სულიერი შვილების სიმტკიცისა და ღირებულებებისადმი ერთგულების სადარაჯოზე. ვუსურვებ მას კიდევ მრავალი წელი საქართველოს ეკლესიის სათავეში ყოფნას ჩვენი სამშობლოსა და ხალხის საკეთილდღეოდ“!

## ირაკლი კობახიძე: მისი სიბრძნე, ადამიანებისადმი უპირობო სიყვარული გვაერთიანებს!..

„ჩვენს ერს წილად ხვდა უდიდესი ბედნიერება, რომ უახლესი ისტორია, დრამატულ ცვლილებათა და გამოწვევათა ეპოქა, მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქ ილია II-ის სულიერი წინამძღოლობით გაევლო. თითქმის ნახევარი საუკუნეა, მისი სიბრძნე, ღმერთის, სამშობლოსა და ადამიანისადმი უპირობო სიყვარული მაგალითს გვაძლევს, გვაერთიანებს და მომავლის რწმენით გვავსებს.

ვულოცავ მის უწმინდესობას აღსაყდრებიდან 47-ე წლისთავს და ვუსურვებ ჯანმრთელობას და დღეგრძელობას ჩვენი ხალხისა და ქვეყნის საკეთილდღეოდ“, – აღნიშნავს პრემიერი.

## შალვა პაპუაშვილი: ჭეშმარიტი მამა და წინამძღოლი

...უდიდესია ამ დღის სიხარული და მადლიერება, რომელიც წლიდან წლამდე მატულობს და ძლიერდება. ღმერთმა მოგვცა უდიდესი წყალობა, რათა თითქმის ნახევარი საუკუნე გვეცხოვრა პატრიარქ ილიას მწყემსმთავრობის ქვეშ. განუზომელია უწმინდესისა და უნეტარესის ღვაწლი და დამსახურება, რომელიც მას მიუძღვის ღვთისა და ერის წინაშე.

მან წმინდანის მოშურნეობით აღასრულა უფლის მიერ დაკისრებული საღმრთო მისია, ეტვირთა უმძიმესი ჯვარი დამცრობილი ეკლესიისა და აეღორძინებინა იგი, ვითარცა შეშვენის ქართველ ერს. ჩვენმა პატრიარქმა თავისი ღვაწლი საბჭოთა მმართველობისა და ათეიზმის მძიმე ეპოქაში დაიწყო და ურთულეს წლებში გამოატარა მისი საყვარელი ერი, როგორც ჭეშმარიტმა მამამ და წინამძღოლმა. ეს მოვალეობა მის ინტრონიზაციაზე წარმოთქმულ სიტყვაშიც გამოჩნდა: „მე შეგნებული მაქვს ის უმძიმესი, და ამავე დროს საპატიო მოვალეობა, რომელიც დღეს ღვთის ამ წმინდა ტაძრის თაღებქვეშ დამაკისრა მაღალმა ღმერთმა“.

დღევანდელი 25 დეკემბერი აღსანიშნავია იმითაც, რომ ჩვენი პატრიარქის მმართველობა საქართველოს ისტორიაში გახდა ყველაზე ხანგრძლივი. აქამდე ეს ტიტული მეთვრამეტე საუკუნეში მოღვაწე აფხაზეთის დიდ კათოლიკოსს გრიგოლ მეორეს ეკუთვნოდა, რომელიც 46 წელი მართავდა სამწყსოს.

ჩვენ პატრიარქს ვუსურვებ მხნეობას, ჯანმრთელობას, სულის სიმტკიცეს და მისი სანუკვარი ოცნებების ახდენას, მოესწროს ერთიან, მთლიან და გამარჯვებულ საქართველოს!

## აკადემიკოსი დავით გურგენიძე მეორე ვადით აირჩიეს

**საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიკოსი დავით გურგენიძე, საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის მე-14 სხდომაზე კონფერენციის თავმჯდომარედ მეორე ვადით ერთხმად აირჩიეს. ამის შესახებ ინფორმაციას სტუ ავრცელებს.**



მისივე ცნობით, საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედ კონფერენციას, რომელშიც საქართველოში აკრედიტებული სახელმწიფო და კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებია გაერთიანებული, თავმჯდომარეობის კანდიდატი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა, აკადემიკოსმა ჯაბა სამუშიამ წარუდგინა.

რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენციის წევრებმა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორს, აკადემიკოს დავით გურგენიძეს მეორე ვადით თავმჯდომარედ არჩევა მიულოცეს და წარმატებები უსურვეს. თავის მხრივ, დავით გურგენიძემ კოლეგებს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და მათ სამოქმედო გეგმა გააცნო.

**„საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია ევროპის უნივერსიტეტების ასოციაციის (European University Association, EUA) სრული წევრი და საგანმანათლებლო სივრცეში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რგოლია. კონფერენცია წარმოადგენს პლატფორმას, სადაც განიხილება უმაღლესი სკოლის წინაშე არსებული ბევრი საჭირბოროტო საკითხი, იქნება ეს უნივერსიტეტების დაფინანსება, რეფორმების მხარდაჭერა თუ სხვა. უნივერსიტეტების გაერთიანება იძლევა შესაძლებლობას, ვიმსჯელოთ პრობლემებზე, ჩამოვაყალიბოთ საერთო აზრი და დავაყენოთ ეს საკითხები საქართველოს მთავრობისა და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს წინაშე, რომელიც, თავის მხრივ, ქართულ უმაღლეს სკოლებში მოღვაწე პროფესორ-მასწავლებლებს, მეცნიერებს, მკვლევრებსა და სტუდენტებს განვითარებისა და წინსვლის საშუალებას აძლევს. მადლობას მოვახსენებ კონფერენციის მონაწილეებს თავმჯდომარის პოსტზე ჩემი მეორე ვადით არჩევისთვის. ვიმედოვნებ, ერთად შევძლებთ წინსვლას და განვითარებას“**, – განაცხადა დავით გურგენიძემ.

ცნობისთვის: საქართველოს რექტორთა მუდმივმოქმედი კონფერენცია 2019 წელს დაფუძნდა. კავშირის ფარგლებში დაარსდა ხარისხის უზრუნველყოფის თემატური ჯგუფი, რომელიც ხელს უწყობს უნივერსიტეტებში ხარისხის კულტურის განვითარებას – დაგროვილი გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების, გამოწვევების განხილვისა და პროფესიული განვითარების შესაძლებლობების შექმნის გზით.

## ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორს იაპონიის ელჩის სიგელი გადაეცა

**ეროვნული ბოტანიკური ბაღის დირექტორს ირინე დანელიას იაპონიასა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის იაპონიის ელჩის სიგელი გადაეცა.**



ირინე დანელიას სიგელი იაპონიის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში იშიძუკა ჰიდეკიმ საკუთარ რეზიდენციაში გამართულ ღონისძიებაზე გადასცა და ქვეყნებს შორის მეგობრობისა და კეთილგანწყობის ხელშეწყობისთვის მადლობა გადაუხადა.

იაპონიის ელჩები ან კონსულები, რომლებიც სხვადასხვა ქვეყანაში ან რეგიონში ასრულებენ მისიას, აღნიშნულ სიგელს გადასცემენ იმ პირებს ან ორგანიზაციებს, რომელთაც დიდი წვლილი აქვთ შეტანილი იაპონიასა და სხვა ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობისა და მეგობრობის განმტკიცებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნულ ბოტანიკურ ბაღში იაპონიის საელჩოს მხარდაჭერით გაშენებულ იაპონურ ბაღში ყოველწლიურად იმართება „საკურას ყვავილობის ფესტივალი“, ტარდება ჩაის ცერემონიები და იმართება ლექციები, რომლებიც ხელს უწყობენ იაპონური კულტურის პოპულარიზაციას ბოტანიკური ბაღის ვიზიტორებს შორის.

## ისტორიული ძეგლების ფოტოკოლექცია ონლაინსივრცეში

**საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული XIX, XX და XXI საუკუნეებში გადაღებული ქართული ისტორიული ძეგლების ამსახველი 150-ზე მეტი ფოტოდოკუმენტი ონლაინსივრცეში გახდა ხელმისაწვდომი, – ამის შესახებ ინფორმაციას ეროვნული არქივი ავრცელებს.**

მათივე ცნობით, ეკლესია-მონასტრების,




ციხე-ქალაქებისა და სხვა ისტორიული ნაგებობების ფოტოები მნიშვნელოვანი ვიზუალური წყაროა სხვადასხვა ისტორიული ძეგლის შესასწავლად. ფოტოებს შორისაა ალავერდის, გელათის, ბაგრატის, ლიხნის, ბიჭვინთის, გრემის, კუმურდოს, სამთავისის, იტრიის, უბისა, კვირიკესა და ივლიტას, მოწამეთას, ნიკორწმინდას, ბარაკონის, საფარას ეკლესია-მონასტრები, ასევე აწყურის, ანაგის, სამწევრისის, ორბელის, ხერთვისის ციხეები, ბესლეთის ხიდი და სხვა ისტორიული ძეგლები.

კოლექციაში შეტანილია თანამედროვე პერიოდის ფოტოებიც, რომლებიც პროექტ „ეროვნული არქივის ექსპედიციების“ ფარგლებშია გადაღებული. პროექტი ხელს უწყობს ქართული კულტურული მემკვიდრეობის დოკუმენტირებასა და არქივში შენახვას.

ნუ გეშინიათ, ჩარეცხილია!

№150. პარასკევი, 27 დეკემბერი, 2024 წელი

# გლობალური „სამართლის“ ბოლო აკორდი




## „ბაიდენის ადმინისტრაცია კიდევ მიიღებს სანქციებს“

**ამერიკის შეერთებულმა შტატებმა საქართველოს ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელები დაასანქცირა. კერძოდ, აშშ-ის სახაზინო დეპარტამენტმა ვახტანგ გომელაურისა და მირზა კეზევაძის წინააღმდეგ სანქციები შემოიღო და ისინი „გლობალური მაგნიტსკის“ სიაში შეიყვანა.** ამას ძალიან ნეგატიურად აფასებს ანალიტიკოსთა და პოლიტიკოსთა ნაწილი საქართველოში და ელოდებიან, რომ დასანქცირების პოლიტიკა მომავალშიც გაგრძელდება. ამასთან, ამბობენ, რომ დასავლეთმა შესაძლოა „ქართული ოცნების“ საპატიო თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი დაასანქციროს. თუმცა, მეორე ნაწილი თვლის, რომ მომავალი წლის 20 იანვრიდან, აშშ-ს ახალი პრეზიდენტის დონალდ ტრამპის ადმინისტრაციის პირობებში, საქართველო-აშშ-ს ურთიერთობები გადაიტვირთება და დალაგდება.

**ანალიტიკოსი ედიშერ გვენეტაძე** For.ge-სთან საუბარში აღნიშნავს, რომ დონალდ ტრამპის ადმინისტრაციისა და საქართველოს ხელისუფლების ღირებულებები თანხვედრაშია და ვითარება რადიკალურად შეიცვლება 20 იანვრის შემდეგ.

**„პრეტენზიები, რაც ოპოზიციას არჩევნების დღესთან დაკავშირებით ჰქონდა, არც ერთი არ არის ასახული „ეუთო-ოდირის“ დასკვნაში – გაყალბებაზე ხომ საუბარი საერთოდ არაა. ამერიკის შეერთებულ შტატების ძველ ადმინისტრაციას დარჩა ზუსტად ერთი თვე, რის შემდეგაც საქართველოსა და დასავლეთის ურთიერთობები გადაიტვირთება, რადგან ის ღირებულებები, რაც აშშ-ს მომავალ ხელისუფლებას გააჩნია, ვგულისხმობ ტრამპის ადმინისტრაციას, გააჩნია საქართველოსაც. ამიტომ, მათი მიზნები ერთმანეთთან არის თანხვედრაში, როგორც ღირებულებითი, ისე სტრატეგიული. რაც შეეხება სანქციებს, ბაიდენის ადმინისტრაცია კიდევ მიიღებს სანქციებს, რადგან საქმე გვაქვს კუდის მოქნევის ბოლო სენტენციებთან, რაც მილევად პროცესშია და აუცილებლად დასრულდება“,** – განგვიცხადა ედიშერ გვენეტაძემ.

**ანალიტიკოსი ვახტანგ ძაბირაძე** მიიჩნევს, რომ პროცესი პერსონალური სანქციების დაწესებით არ დასრულდება, რადგან მომავალში საქართველოს შესაძლოა სერიოზული ეკონომიკური და ფინანსური პრობლემები გაუჩნდეს. მისი განმარტებით, დასავლეთის მხრიდან „ბოლო აკორდი“ შესაძლოა ბიძინა ივანიშვილის დასანქცირება იყოს.

**„ეს ყველაფერი იყო მოსალოდნელი და განჭვრეტადი მას შემდეგ, რაც ხდება საქართველოში არჩევნების შემდეგ, პროცესი თანდათან აქეთ მიდიოდა. სანქციების სია, არათუ ცალკეული პიროვნებებისთვის, ქვეყნისთვისაც კი დამაზიანებელია, რადგან ამ სიაში ხვდება შენი ქვეყნის მოქალაქე. სამწუხაროდ, ეს პროცესი ჯერ არ დასრულებულა, გაგრძელდება და უფრო მძიმე ხასიათს მიიღებს. ჩვენი პარტნიორები, რომლებმაც იციან, ვინ იღებს ქვეყანაში გადაწყვეტილებებს, ერიდებიან ბიძინა ივანიშვილის პირდაპირ დასანქცირებას, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ეს დროც დადგება, ოღონდ ივანიშვილის დასანქცირება ამ პროცესის ბოლო აკორდი იქნება.**

**თუმცა, პროცესი არც ამით დასრულდება, რადგან შემდეგ დაიწყება უფრო ღრმა პროცესი – ეს იქნება ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური კავშირების მინიმიზაცია, სულ მცირე, თუ საერთოდ გაწყვეტა არა საქართველოს ხელისუფლებასთან ჩვენი პარტნიორების მხრიდან. ეს უკვე სავალალო შედეგს ცალკეული მოქალაქეებისთვის მოიტანს, არა მარტო ბიზნესისთვის – ამას როგორ გაუძლებს ქვეყანა და საზოგადოება, რთული წარმოსადგენია. ვერ გავუძლებთ და შეიძლება მივიდეთ სამოქალაქო დაპირისპირებამდე, რომლის ვერც დაწყების მომენტს განსაზღვრავს ვერავინ და ვერც იმას, თუ რამ შეიძლება გამოიწვიოს ასეთი აფეთქება.**

**თუ გავითვალისწინებთ, რომ ამერიკასთან ერთად გავიჩინეთ ახალი სტრატეგიული პარტნიორი, რომელთანაც ამერიკას არ აქვს თბილი და მეგობრული დამოკიდებულება, ჩინეთს ვგულისხმობ, და სხვა ბევრი ფაქტორის გამო, ტრამპის პოლიტიკა საქართველოს მიმართ ვერ იქნება მეგობრული, სავარაუდოა, რომ იყოს უფრო ხისტი, ვიდრე ამას ბაიდენი და მისი გუნდი აკეთებდა. ტრამპი პარტნიორებისგან უფრო მეტს ითხოვს, ვიდრე ამას ბაიდენი და მისი გუნდი. უნდა ვეცადოთ, რომ 20 იანვრამდე მივიდეთ მშვიდობიანი პროტესტის ფორმით“,** – განაცხადა ვახტანგ ძაბირაძემ.

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილი** ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ძალოვანი უწყებების ხელმძღვანელების დასანქცირებას გამოეხმაურა და თქვა, რომ საქართველოში ისევ ისე თენდება და ღამდება, როგორც აქამდე თენდებოდა და ღამდებოდა, საქართველო წინ მიდის და ასეთი გადაწყვეტილებები ხალხს ვერ დააზიანებს. როგორც პაპუაშვილი განმარტავს, ეს გადაწყვეტილება ქართულ-ამერიკულ ურთიერთობებში მძიმე ლაქად დარჩება.

**„ეს გახლავთ სრულად ამერიკული შტატების წარმავალი ადმინისტრაციის პასუხისმგებლობა, როცა ასეთი უსამართლო გადაწყვეტილებები მიიღება, ამაზე ჩვენ გავლენა არ გვაქვს, ჩვენ ვხედავთ, რომ ეს ადმინისტრაციის თვითნებური გადაწყვეტილებაა, რაც კიდევ ერთხელ ამ ურთიერთობებს აზიანებს. ვხედავდით, რომ თვეების განმავლობაში მუქარის ინსტრუმენტად იყო გამოყენებული სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების მხრიდან, შიგნით, თუ გარეთ, ეს მუქარა განხორციელდა და ვნახეთ, რომ საქართველოში ისევ ისე თენდება და ღამდება, როგორც აქამდე თენდებოდა და ღამდებოდა, საქართველო წინ მიდის, ჩვენი საზოგადოება წინ მიდის, ასეთი გადაწყვეტილებები ჩვენს ხალხს ვერ დააზიანებს, ერთადერთი, რასაც ეს გადაწყვეტილებები აზიანებს, იმ ქვეყნების, თუ ხელისუფლებების რეპუტაციაა, რომლებიც ამგვარ გადაწყვეტილებებს იღებენ“,** – განაცხადა პაპუაშვილმა.

**ნიკო ჩოხელი**

# მიშას დიაგნოზის მიმართ მედიცინაც კი უძლურია!




ახლა არის ერთიანობის და შეტევის დრო, ძალიან მალე გვექნება ხაშლამის, საცივის ჭამის, ელარჯის წელვის და ხორუმის ცეკვის ხასიათი, – ამის შესახებ საქართველოს ყოფილმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა 25 დეკემბრის სასამართლო პროცესზე კლინიკა „ვივამედიდან“ დისტანციურად ჩართვისას განაცხადა.

სააკაშვილის თქმით, გადამწყვეტი ნაბიჯების გადადგმის დროა.

**„საქართველოსთვის ერთი ხელის გაწვდენაზეა გამარჯვებაც, თავისუფლებაც, ევროპაც და კეთილდღეობა თითოეული ქართველისთვის. მე მინდა, ვუთხრა ყველას, ეს დრო ძალიან მალე დადგება, მართლა გვექნება ხასიათი ხაშლამის ჭამისაც, საცივის ჭამისაც, ელარჯის წელვისაც, ხორუმის ცეკვისაც, მაგრამ ამას უნდა გამარჯვება და გამარჯვებას რა სჭირდება? ჯერ უნდა მოვიდეს ოლიგარქი და თვითონ დათანხმდეს ამ ყველაფერზე, ანდა ჩვენ უნდა მივაკითხოთ და მის აკვარიუმთან გადავიღოთ სურათები, მაგრამ გამარჯვება იქნება. საქართველოს სჭირდება ბრძოლა გამარჯვებამდე. რაც საჭიროა ამ გამარჯვებისთვის, ყველაფერი უნდა გაკეთდეს“!**

# კვირის ციტატები

## ანა ბუჩუკური: მიხეილ სააკაშვილი არის მავნებელი, ან გაუთიშონ ინტერნეტი, ან გადაიყვანონ ციხეში!



**„მიხეილ სააკაშვილი არის მავნებელი, ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც მავნებლობს, მაშველ რგოლად ევლინება ივანიშვილს და მის ე.წ. ხელისუფლებას.** აღარ მომაყოლოთ, 2021 წლიდან დაწყებული, რამდენჯერ შეასრულა მან ეს როლი. ამიტომ ვამბობთ, ან გაუთიშონ ინტერნეტი, ან გადაიყვანონ ციხეში. სააკაშვილთან დაკავშირებით ყოველთვის არსებობდა კითხვის ნიშნები, რასთან დაკავშირებითაც მე პასუხი არ მიმიღია. სააკაშვილი ჩემთვის არც პოლიტპატიმარია და მეტსაც გეტყვით, გადაიყვანონ ციხეში, რადგან ივანიშვილი ძალიან კარგად იყენებს სააკაშვილს მაშველ რგოლად. ახლა ხომ ფაქტია, რომ მშვენივრად გამოიყურება? ინტერნეტი გაუთიშონ, რადგან მავნებლობს, პირდაპირ ეთერებს ნუ აძლევთ, რადგან პატიმარია. სხვათა შორის, სხვა პატიმრებს არ აქვთ ამის უფლება. ან გადაიყვანონ ციხეში, რადგან ფაქტია, თავს კარგად გრძნობს“!..

## ირაკლი კირცხალია: ჩვენ ვნახეთ ნანა დიხამინჯიას გაცოფებული სახე



**„ეს არის იმ ბინძური კამპანიის გაგრძელება, რომელიც მინელებული იყო. ეს ქალბატონი გამოჩნდა ახლა თავისი ჩამწერით, იგივე ჩვეულებრივი ლიბერალი ფაშისტის სახით“, – ასე გამოეხმაურა „ქართული ოცნების“ წევრი ირაკლი კირცხალია ოპოზიციონერ აქტივისტ ნანა დიხამინჯიას მიერ საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერ მამუკა მდინარაძესთან დაპირისპირების საკითხს.**

„ყველამ კარგად ვნახეთ ის ვიდეო ხომ? ერთ ყველაზე მთავარ რაღაცას ეუბნება ბატონი მამუკა, რომ თქვენ ხართ იმ ბინძური ღირებულებების სადარაჯოზე, რასაც ეწინააღმდეგება ოჯახური ღირებულებების ის კონკრეტული ანტი-ლგბტ კანონი, რომელსაც ჩვენ ჩავუყარეთ საფუძველი და რომელიც მიღებულია. ეს ადამიანი ამაზე უტიფრად უარს ამბობს, როდესაც არსებობს სოციალური ქსელი და როდესაც 21-ე საუკუნეში თავის ბექგრაუნდს ძალიან, რომ უნდოდეს ვერავინ ვერ წაშლის. ეს ქალბატონი იყო ყველა იმ კოლექტიური ლიბერალი ფაშისტების სახე, იმ დაწერილი გაიდლაინების გამოსხივება, რომელიც აი, ამ დესტრუქციული ჯგუფებიდან მოქმედებს და მან მიიღო პასუხი. ჩვენ ვნახეთ მისი გაცოფებული სახე.

ამას ვეუბნებით საზოგადოებას. ადეკვატურ პასუხზე, რეალობაზე და სიმართლეზე, რაც მამუკამ უპასუხა ყველაფერზე, როგორი ისტერიული სახე მიიღო და რა კლინიკასთან გვქონდა საქმე საზოგადოებამ განსაჯოს“!

# „ერისიონი“

## ჩვენ ყოველთვის ვიმღერებთ, ვიცეკვებთ და არავის აქვს უფლება, ეს დაგვიშალოს და მოუშალოს ქართველებს!“

ანსამბლი „ერისიონი“ სოციალურ ქსელში წერს:

სიმღერა, ცეკვა, ქართული კულტურა და იდენტობა, შეუცვლელი და ერთ-ერთი მთავარი განმასხვავებელია ყველა დანარჩენისგან. ხალხის დაბულინგება და შანტაჟი, არ იმღეროთ, არ იცეკვოთ, ახალი წელი და შობა არ იზეიმოთ და ბავშვები არ ჩართოთ ამაშიო – ყველაზე არაქართული დამოკიდებულებაა ნებისმიერი მიზეზის თუ საბაბის მიუხედავად! ჩვენ ყოველთვის ვიმღერებთ, ვიცეკვებთ და არავის აქვს უფლება, ეს დაგვიშალოს და მოუშალოს ქართველებს!“.

## მიშო ჯავახიშვილი:



## ეს საქმე ეროვნულია, ქართულია, რაც ჩვენს ქვეყანას აძლიერებს და ამტკიცებს!

**მთელი ცხოვრება ქართული კულტურის – ხალხური შემოქმედების წიაღში ვიზრდებით მე, ჩემი ძმა და ჩემი მეგობრები. მთელი ცხოვრება ამ საქმის კორიფეების ხელმძღვანელობით გავიარეთ. სიმღერით მეგობრებთან ერთად მრავალი გამარჯვება და სიხარული მოგვიტანია ჩვენი ქვეყნისთვის. არასდროს დაყოფა და სიძულვილი, – წერს ანსამბლ „მართვეს“ სამხატვრო ხელმძღვანელი მიშო ჯავახიშვილი სოციალურ ქსელში.**

მისი განცხადებით, მხოლოდ სწორ გზაზე დგომა, ეროვნულ კულტურაზე ფიქრი და მის პოპულარიზებაში მონაწილეობაა მთავარი და ამ გზაზე სწორი სვლით მიდის ანსამბლი „მართვე“, რასაც მისი ძლიერი, მყარი ისტორია ამტკიცებს. ჯავახიშვილის თქმით, ვინც ამ საქმეს სიმართლითა და თავმდაბლობით ემსახურება, მის გულში სიკეთე და სითბო ისადგურებს.

**„ხალხურ სიმღერას ერთი უცნაური თვისება აქვს, თუ შენ გვერდით მდგომი კაცი არ გიყვარს, ისე ვერ იმღერებ!“ – ანზორ ერქომაიშვილი.**

**ისევ და ისევ აღმატებულზე – ეროვნულ კულტურაზე ფიქრი და მის პოპულარიზებაში მონაწილეობაა ჩვენი ცხოვრების წესი.**

**ამ გზაზე მუდამ სწორი სვლით მივდივარ ჩემ გვერდში მდგომებთან ერთად.**

**დღეს ამ სწორ გზას ანსამბლი „მართვე“ და მისი ძლიერი, მყარი ისტორია ამტკიცებს.**

**მრავალ თაობაგამოვლილ დიდ ძალას და ეროვნულ საქმეს, ჩვენი დიდი პედაგოგების გაკვალულ ნათელ გზას, მუდამ სასარგებლო ნაყოფი გამოჰქონდა და ეს ასე გაგრძელდება!**

**ეს საქმე ეროვნულია, ნამდვილი ქართულია, რაც ჩვენს ქვეყანას აძლიერებს და ამტკიცებს, ამ სამჭედლოში გამოზრდილი ბიჭები და გოგონები ერის სულიერი სიმტკიცეა, რაც ვერ წაიშლება. ვერც ვერავინ, კარნახითა და არაჯანსაღი მოსაზრებებით შეარყევს, ვერც შიდა თუ გარედან წამოსული რყევებით შეიტანს ბზარს. ეს გზა მტკიცეა და მყარი ნაბიჯებით გაგრძელდება ამ ქვეყანაში.**

**სიმღერა ჩვენი სულიერი განძია. მუსიკა, გულში გავლილი, ამთელებს, სულსა და გულს სიკეთით მომართავს. ვინც ამ საქმეს სიმართლითა და თავმდაბლობით ემსახურება, მის გულში სიკეთე და სითბო ისადგურებს.**

**ყველაფერი გაივლის, ყველა თავის თავთან დარჩება მარტო ამ ფიქრებში, გულითა და გონებით სიმშვიდეს და სიყვარულში გაძლიერებას გისურვებთ!**

**„ღმერთს შენთვის გონება და გული მოუცია, ავარჯიშე, მინამ სიცოცხლე შეგწევს. გონება გზას გაგინათლებს, გული – გაგითბობს... გონებაგანვითარებულ უზნეოს კარგი ხასიათის გონებაგანუვითარებელი სჯობია“ – ილია მართალი!“**

## 1 იანვრიდან თბილისში პიკის საათებში მოძრაობის შეზღუდვა დისტრიბუციის მანქანებსაც შეეხება

**თბილისის საზღვრებში, 08:00-დან 11:00 საათამდე და 17:00-დან 20:00 საათამდე პერიოდში, მოძრაობის შეზღუდვა სხვა დიდგაბარიტიან ტრანსპორტთან ერთად, უკვე დისტრიბუციის ავტომანქანებსაც შეეხება.**

როგორც დედაქალაქის მერმა კახა კალაძემ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე აღნიშნა, აქამდე დისტრიბუტორებს გარკვეული ვადა ჰქონდათ მიცემული, ხოლო მომავალი წლის პირველი იანვრიდან შეზღუდვა უკვე აღნიშნული კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებსაც შეეხებათ.



„წელიწადნახევრის წინ დავიწყეთ კიდევ ერთი ახალი რეფორმის განხორციელება, რომელიც ემსახურება დედაქალაქში მოძრაობის გარკვეულწილად განტვირთვას, რაც გამომდინარეობდა არაგაბარიტული მანქანების მოძრაობით პიკის საათებში. 08:00-დან 11:00 საათამდე და 17:00-დან 20:00 საათამდე პერიოდში, მათი გადაადგილება შევზღუდეთ. ეს ეხებოდა N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებს, ანუ იზღუდებოდა ტვირთის გადასაზიდად განკუთვნილი სამნახევარ ტონაზე მეტი სრული მასის მქონე ძრავიანი სატრანსპორტო საშუალებების გადაადგილება. გვქონდა გარკვეული გამონაკლისები დაშვებული. რეგულაციის მიღების დროს ბიზნესსექტორთან მჭიდრო ურთიერთობა გვქონდა და გამონაკლისად დავადგინეთ დისტრიბუციის მანქანები და მათ რვათვიანი შეღავათი მივეცით, რომ ამ ცვლილებასთან ადაპტირება მოეხდინათ. ამის შემდეგ მათ შეღავათი კიდევ ოთხი თვე გავუხანგრძლივეთ, პირველი იანვრიდან კი ეს შეზღუდვა მათაც შეეხებათ“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული რეგულაცია ითვალისწინებს შეზღუდვას N2 და N3 კატეგორიების სატრანსპორტო საშუალებებით დისტრიბუციაზე და არ ეხება M2 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებებს.

„კიდევ ერთხელ ხაზგასმით განვმარტავთ, რომ შეზღუდვა ვრცელდება მხოლოდ 08:00-დან 11:00 საათამდე და 17:00-დან 20:00 საათამდე, რა დროსაც დედაქალაქში არის უფრო დიდი სატრანსპორტო ნაკადები, დღე-ღამის დანარჩენ მონაკვეთში კი არანაირი შეზღუდვა არ არის დაწესებული და არც იგეგმება რაიმე ახალი შეზღუდვის დაწესება“, – განაცხადა თბილისის მერმა.

## თბილისში მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის ცენტრი აშენდა!

**ცხოველთა მუნიციპალური თავშესაფრის ტერიტორიაზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი, მიუსაფარი ცხოველების პოპულაციის მართვის ცენტრი აშენდა.**



როგორც თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, ცენტრი უკვე მზადაა, დედაქალაქს 24 საათის განმავლობაში მოემსახუროს.

„როგორც იცით, აღნიშნული მიმართულება დედაქალაქისთვის სერიოზული გამოწვევაა, ამიტომ ჩვენ მიზნად დავისახეთ ამ პრობლემის მოგვარება და ვდგამთ შესაბამის ნაბიჯებს თანამედროვედ, ცივილურად. აღნიშნული პროექტი საშუალებას მოგვცემს, უფრო მეტი ცხოველი გადავიყვანოთ თავშესაფარში სტერილიზაცია-კასტრაციის მიზნით, რაც, როგორც მოგეხსენებათ, მსოფლიოში აპრობირებული ერთადერთი ყველაზე ეფექტური და ჰუმანური მეთოდია ქუჩის ბინადარი ცხოველების რაოდენობის შესამცირებლად“, – განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, პროექტის ფარგლებში მოეწყო და სრულად აღიჭურვა ინდივიდუალური ვოლიერები, ლაბორატორია, საოპერაციო ბლოკი, პოსტოპერაციული სივრცე და სხვა საჭირო ინფრასტრუქტურა.

ამასთან, როგორც დედაქალაქის მერმა აღნიშნა, ახალი ცენტრი იზოლირებულია არსებული თავშესაფრის შენობისგან და იქ ცხოველების გადაყვანა მხოლოდ სტერილიზაცია-კასტრაციის მიზნით მოხდება, რაც დაავადებების მართვის ეფექტურობის თვალსაზრისით ძალიან მნიშვნელოვანია.

## ზუგდიდში 50-კილომეტრამდე გზის რეაბილიტაცია განხორციელდა

**ზუგდიდის მუნიციპალიტეტში საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს.**

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოებს სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებული დავით ვერაგა, ზუგდიდის დელეგატი საქართველოს პარლამენტში დავით კოდუა, სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის მოადგილე ლუდუკ ხასია, ზუგდიდის მერის მოადგილე ბესიკ ჭეჟია, შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლებთან ერთად ადგილზე გაეცნენ.

მიმდინარეობს რიყე-ზედაეწერის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი. პროექტის ღირებულება 1 806 133 ლარია.

გზის მოწყობა მიმდინარეობს ზედაეწერში, სათორდიოს უბანში. პროექტის ღირებულება 448 997 ლარია.

გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები რეგიონალური განვითარების ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით ხორციელდება.

რაც შეხება ქალაქის ქუჩების რეაბილიტაციას, სამუშაოები დასკვნით ეტაპზეა. მიმდინარე წელს ქალაქის 67 ქუჩის რეაბილიტაცია განხორციელდა.



ცნობისთვის, მიმდინარე წელს ზუგდიდის მუნიციპალიტეტში განხორციელდა 212 ინფრასტრუქტურული პროექტი, რომლის ღირებულებამ 121 415 308 ლარი შეადგინა. რეაბილიტაცია ჩაუტარდება 50 კმ-მდე ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზას. რისთვისაც დაიხარჯა 24 მილიონამდე ლარი.

საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობა, 2025 წელს კვლავ რჩება მერიის ერთ-ერთ პრიორიტეტად.

## წელს საქართველომ 85 მილიონი დოლარის შაქარი იყიდა!

**წელს იანვარ-ნოემბერში საქართველომ 84.6 მლნ აშშ დოლარის 130,342 ტონა შაქარი იყიდა, რაც თანხაში 3.8%-ით ნაკლებია გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელზე, რაოდენობრივად კი, 1.6%-ით მეტი.**

გთავაზობთ, 2024 წელს შაქრის იმპორტიორი TOP_10 კომპანიის ჩამონათვალს:

**ბრაზილია** – 27.1 მილიონი დოლარი – 48,500 ტონა;
**საფრანგეთი** – 16.7 მილიონი დოლარი – 22,670 ტონა;
**ნიდერლანდები** – 10.5 მილიონი დოლარი –13,872 ტონა;
**ბელგია** – 8.5 მლნ დოლარი – 13,022 ტონა;
**თურქეთი** – 6.8 მილიონი დოლარი – 9,750 ტონა;
**პოლონეთი** – 3.9 მილიონი დოლარი – 5,943 ტონა;
**არაბთა გაერთიანებული საამიროები** – 3.5 მილიონი დოლარი – 6,000 ტონა;
**გერმანია** – 2.4 მილიონი დოლარი – 3,461 ტონა;
**რუსეთი** – 2.3 მილიონი დოლარი – 3,845 ტონა;
**მაროკო** – 708.2 მილიონი დოლარი – 910 ტონა.

მედიაში გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, თანამშრომელთა გაფიცვაა აგარის შაქრის ქარხანაში – დასაქმებულებმა მუშაობის გაგრძელებაზე უარი თქვეს და ქარხანასთან შეიკრიბნენ. ისინი მე-13 ხელფასს და დაპირებულ პრემიას ითხოვენ.



# როგორ მიიყვანა დიდმა დასავლეთმა პატარა საქართველო ნაძირალების დიქტატურამდე!



„განუყრელი მეგობრები"
მიხეილ სააკაშვილი და ჯონ მაკკეინი

**ქვეყანაში მიმდინარე ურთულესმა პროცესებმა, პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულმა ფარულმა თუ ღია ქიშპობამ, გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების სამკვდრო-სასიცოცხლო დაპირისპირებამ ხელისუფლებასთან, მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის უკიდურესმა გაუარესებამ და სხვა მრავალმა ნეგატიურმა ფაქტორმა მაიძულა, ევროატლანტიკური სივრცისთვის გამეცნო ჩემი, ერთი რიგითი ქართველის მოსაზრება საქართველოში არსებულ ვითარებაზე.**

დარწმუნებული ვარ, საქართველოში აკრედიტებული თქვენი დიპლომატიური მისიების წყალობით, ინფორმაციის ნაკლებობას არ განიცდით, თუმცა, გულახდილად მოგახსენებთ, რომ თქვენ მიერ ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკურ-სოციალური ჩავარდნების უგულებელყოფა საწინააღმდეგო განცდას მიჩენს, რამეთუ ამდენი ხარვეზის შემყურე სტრატეგიული პარტნიორი, ჩემი აზრით, სხვაგვარად უნდა იქცეოდეს – მეგობრულად გვასწავლიდეს, ხელს გვიწყობდეს, გვეხმარებოდეს ყოველგვარი დიქტატისა და მენტორული ტონის გარეშე...

რასაც გვიბედავთ და გვაკადრებთ – დაუმთავრებელი ჭკუის დარიგება, დატუქსვა, თითის ქნევა, მუქარა, დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი წერილები კონგრესმენებისგან, სენატორებისგან, ევროპის სახალხო პარტიისგან, ევროპარლამენტარებისგან, სახელმწიფო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან – ეს არის მხოლოდ ჩვენი ხელისუფლების შეურაცხმყოფელი და სრულიად დაუმსახურებელი კრიტიკა.

საქართველო, დიდი ისტორიისა და კულტურის ქვეყანა, 30 წელზე მეტია, ახალ დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს აშენებს და ამ მშენებლობის პერიოდში მას მრავალი ბარიერის დაძლევა მოუწია. მხოლოდ სამოქალაქო ომები რად ღირს, ან ცხინვალის სამხედრო კონფლიქტით გამოწვეული ოკუპაცია. თქვენ მიერ გამოზრდილმა და ზნედაცემულმა საქართველოს პრეზიდენტად მოვლენილმა სააკაშვილმა გვაზიარა უბედურებას. მან აშშ-ის გარკვეული წრეების წაქეზებით საქართველო საომარი მოქმედების არენად აქცია, რამაც ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, ამასთანავე, ისედაც მცირემიწიანი ქვეყნის ტერიტორიის 20% დაგვაკარგვინა!

რაღაც ვერ ვიხსენებ შეურაცხადი სააკაშვილისა და ნაციონალური ხელისუფლების სახელზე გამოგზავნილ ისეთივე შინაარსის წერილებს, როგორსაც „ოცნების" ხელისუფლებას უგზავნით.

**სიტყვაც არ დაგიძრავთ:**

** სააკაშვილის 9-წლიანი აღვირახსნილი, სისხლიანი მმართველობის ბოროტებაზე, სისასტიკესა და საშინელებებზე;*

** საქართველოს უწმინდესი და უნეტარესი პატრიარქის ილია მეორის, ზოგადად სარწმუნოების შეურაცხყოფაზე, ეკლესიის საკურთხეველში შევარდნებზე;*

** ხალხის ქუჩაში სადისტურ დახვრეტებზე;*

** გადავსებულ ციხეებში პატიმრების გაუგონარ წამებაზე;*

** ციხეში ხელოვნური ამბოხის მოწყობასა და პატიმრების ჩახოცვაზე;*

** ელიტურ კორუფციაზე;*

** ყველა არჩევნების ტოტალურ გაყალბებაზე;*

** მშვიდობიანი მიტინგებისა და აქციების უსასტიკესი მეთოდით დარბევაზე;*

## სტრატეგიული პარტნიორებო: როდემდე, როდემდე, როდემდე?!

** მოსახლეობის აბუჩად აგდებაზე;*

** სააკაშვილის გარყვნილ ცხოვრებაზე, ლოთობაზე, მის მიერ ნარკოტიკებისა და ტრანკვილიზატორების მოხმარებაზე, უცხოეთიდან ვიზაჟისტების, მასაჟისტების ჩამოყვანასა და მათთან ნებივრობაზე;*

** საზღვარგარეთ გასართობად და დროის სატარებლად ჟურნალისტ-„პროსტიტუტკებთან" ერთად ვოიაჟებზე;*

** საბიუჯეტო სახსრების გაფლანგვა-მითვისებაზე;*

** მის უგუნურ დანაშაულებრივ საკადრო პოლიტიკაზე – გენდერული წესით შერჩეული, ამურში დახელოვნებული ახალგაზრდა ქალების მინისტრებად დანიშვნასა და უმწიფარი გოგოების პარლამენტში შეყვანაზე (ეს ისეთი ნოვაცია შემოიღო, უკეთესს ვერც რომის იმპერატორი კალიგულა მოიფიქრებდა – მინისტრობა და პარლამენტარობა პრეზიდენტის საძინებლის გავლით);*

** წარმატებულ ტელეკომპანია „იმედში" შეჭრაზე, თანამშრომლების შეურაცხყოფაზე, უსასტიკეს დარბევასა და ტელეაპარატურის განადგურებაზე;*

** პარლამენტის სპიკერის უმოწყალო ცემასა და გაგუდვაზე;*

** სააკაშვილის დავალებით მისივე დაცვის წევრების მიერ სახელმწიფო მოხელეებისა და პარლამენტის წევრების ცემა-ტყეპასა და ზოგჯერ სიკვდილამდე მიყვანაზე;*

** საქართველოს ურიცხვი სტრატეგიული ობიექტების რუსეთზე გასხვისებაზე;*

** ბიზნესის წართმევაზე და ქონების საკუთარი გარემოცვის წევრებზე ერთ ღამეში გადაფორმებაზე – მუქარით, დაშინებით, დაპატიმრებით და სხვა ამაზრზენი მეთოდებით;*

** დაპირებების შეუსრულებლობაზე, ხალხის სისტემატურად მოტყუებაზე (ხანდაზმულებს დაჰპირდა კბილების პროთეზირებას და შესრულება არც უფიქრია; რეპრესირებულებს დაჰპირდა პენსიის მკვეთრად გაზრდას და მოატყუა);*

* * *

**სააკაშვილის** მიერ მიღებული დანაშაულებრივი კანონით ადამიანის უფლებათა დამცველებს, ადვოკატებს პირდაპირ სასამართლო პროცესის დროს აპატიმრებდნენ. 124 დამცველი მისცეს პასუხისგებაში სრულიად დაუმსახურებლად!

სააკაშვილმა მწერლებს მწერალთა კავშირის სასახლე წაართვა და უტიფრად გამოყარა რედაქციები და ჟურნალისტები გამომცემლობა „სამშობლოდან".

სააკაშვილმა შექმნა ტოტალური ძალადობრივი სისტემა, სახელმწიფო მართვის ისეთი ფორმა, სადაც არაპროფესიონალიზმი, გაუნათლებლობა, არაკომპეტენტურობა ყვაოდა, მაგრამ ამერიკასა და ევროპას ერთხელაც არ ამოუღია ხმა მის ურიცხვ უმსგავსობაზე. პირიქით – სულ მისი ქება-დიდება გვესმოდა გაღმიდან, ხან – წარმატებულ რეფორმატორს, ხანაც დემოკრატიის შუქურას უწოდებდით!

სააკაშვილი და მისი მმართველობა მხოლოდ თქვენ მიმართ, თქვენს მოსაწონ მონურ მორჩილებას იჩენდა, თქვენს პოლიტიკოსებთან და მაღალი რანგის მოხელეებთან ძმაკაცური, მოჩვენებითი ურთიერთობებით გამოირჩეოდა. ისინი ხშირად სტუმრობდნენ მას გასართობად და დროის გასატარებლად. მისი მმართველობის წასახალისებლად და გასამყარებლად არც ერთ მათგანს სააკაშვილზე აუგი არ დასცდენია. რატომ? ალბათ, ძნელი გამოსაცნობი არ არის.

დღესაც თვალწინ მიდგას საჯარო შეკრებაზე აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტ ჯო ბაიდენის სიტყვით გამოსვლა, რომელმაც ქება-დიდება არ დაიშურა სააკაშვილის დედის – გიული ალასანიას მიმართ ასეთი შესანიშნავი, ჭკვიანი, კარგად აღზრდილი, განათლებული, გამჭრიახი პოლიტიკოსის აღზრდისთვის; ხოლო აშშ-ის პრეზიდენტმა ბუშმა თბილისში სტუმრობისას



ჯო ბაიდენი



კარლ ბილდტი



მიხაილ როთი



ე. მაკრონი

**თქვენ გინდათ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დათრგუნვა-დაბეჩავება, მონური მორჩილება, უკვე მიაღწიეთ ამასაც — თქვენთან შეთანხმების გარეშე ჩვენი ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. იცოდეთ, არ გამოგივათ, ქართველი ხალხი ამის უფლებას არ მოგცემთ! გინდა, დაგარწმუნოთ, რომ სამართლიანი ხელისუფლება გვყავს, წინამორბედ ურჩხულთან შედარებით, და არ შეიძლება ყოველი ნაბიჯი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამერიკის ელჩს საქართველოში, კონგრესმენებს, სენატორებს, ევროკავშირს, ნატოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ევროკომისიას შეუთანხმოს!**

# მართალს ვიტყვი!..

საქართველოს რესპუბლიკა

ერთობ გადაჭარბებული ხოტბა შეასხა.

ხალხი კი გმინავდა ამ ჯალათის უსაქციელობის გამო, თუმცა, ყველაზე ამაზრზენია ის, რომ პირადად სააკაშვილის, მისი გარემოცვისა და მის მიერ დატოვებული თავხედი, უზრდელი, გაუნათლებელი და უქნარა ნაციონალების, ურეიტინგო პარტიების, საქართველოს მტრების – არასამთავრობოების, ადამიანის უფლებათა ვითომ დამცველების, ტყუილის გამავრცელებელი ტელეარხების მიმართ დასავლეთიდან დღესაც გრძელდება ლოიალური დამოკიდებულება, მათ შორის – სოლიდური დაფინანსებაც.

**ამერიკისა და ევროპის სახელმწიფო სტრუქტურების მესვეურებო, ჩვენო „სტრატეგიულო პარტნიორებო", თქვენ მოგმართავთ!**

**საქართველოს მოსახლეობის აღშფოთებას იწვევს თქვენ მიერ თავსმოხვეული შოკისმომგვრელი კოჰაბიტაცია, სააკაშვილისთვის ერთი წლით პრეზიდენტობის ვადის გაგრძელება, მისი უტიფარი ლოგისტის – მაკკეინის თავხედობა...**

**სააკაშვილი საქართველოდან გაიქცა, უკვე დაპატიმრებულიცაა, თუმცა მის მიერ შექმნილი კრიმინალური პარტია დღესაც განაგრძობს ქვეყნის დესტაბილიზაციას. დანაშაულებრივი „ნაციონალური მოძრაობის" კანონგარეშედ გამოცხადების ნაცვლად, თქვენი წყალობით ის „მთავარ ოპოზიციურ" ძალად მოიაზრება და საპარლამენტო რესპუბლიკაში თავხედური, დესტრუქციული საქციელით გამოირჩევა.**

ამერიკული ორგანიზაციების – „აი-არ-აი"-სა და „ენ-დი-აი"-ს მიერ ტენდენციური და მიკერძოებული გამოკითხვით, „ნაცმოძრაობა" ლამის ყველაზე წარმატებულ და პოპულარულ პარტიად სახელდება. მას მხარს უჭერენ და ზურგს უმაგრებენ თქვენ მიერ დაფინანსებული ტელეარხები და არასამთავრობო ორგანიზაციები, რომელთა მუშაობა მიმართულია მხოლოდ ქართული ტრადიციების, კულტურის, ოჯახის სიმტკიცის დასასამარებლად, ერთი და იმავე სქესის პირთა შორის ქორწინების დასაკანონებლად, გეიაღლუმების ჩასატარებლად, ხალხში (განსაკუთრებით – ახალგაზრდებში) ლგბტ იდეების გასაპიარებლად; არცერთი სიტყვა – ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, ეკონომიკის გაჯანსაღებაზე, მძიმე სოციალური მდგომარეობის გამოსწორებაზე.

საყოველთაო უმუშევრობამ და მოსახლეობის უკიდურესმა გაჭირვებამ გამოიწვია შემაძრწუნებელი სუიციდის შემთხვევების ზრდა, განსაკუთრებით – ახალგაზრდებში, ლუკმაპურის საშოვნელად უცხოეთში გადახვეწა, თუნდაც მძიმე სამუშაოს შოვნის იმედით.

მცირდება საქართველოს მოსახლეობა, ცარიელდება ქალაქები და სოფლები. დღევანდელი მონაცემებით, სასწავლო წელს რეგიონების ასზე მეტი სკოლა პირველი კლასის გარეშე იწყებს!!! ეს უკვე კატასტროფაა.

**საქართველოს მოსახლეობა, რომელიც დამოუკიდებლობის აღდგენამდე 5,5 მილიონს შეადგენდა, 3 მილიონამდე დავიდა. ქვეყნიდან გადახვეწილი ქართველების ადგილს აზიელები და აფრიკელები იკავებენ. „დემოკრატიული და ტოლერანტული" დასავლეთის მეცადინეობით, საქართველოსგან 30-40 წელიწადში სახელიღა თუ დარჩება!**

თქვენ წარმატებით განაგრძობთ ნაციონალი სახელმწიფო დამნაშავე-კრიმინალების მფარველობას, რომ არ გადასცენ ისინი პასუხისგებაში, 48 მილიონი ლარის გამფლანგველ გიგი უგულავას ექომაგებით. ახალ წელს მაკკეინი ჩამოფრინდა თბილისში და ციხიდან გამოაშვებინა ეს ნაძირალა. ვანო მერაბიშვილი სახელმწიფო დამნაშავე და მკვლელია, მისი განთავისუფლებაც თქვენს ზეწოლაზე და ორივე შემთხვევა ჩვენი ხელისუფლების თქვენდამი მორჩილებაზე მეტყველებს. ამ გონებაშეზღუდულს ციხის ზღურბლიც არ ჰქონდა გადმოკვეთილი, ხელისუფლების დამხობით რომ დაგვემუქრა. ნუთუ ეს მიგაჩნიათ დემოკრატიად?!

**სამწუხაროდ, ვრწმუნდები პლატონის (სოკრატეს მოწაფისა და არისტოტელეს მასწავლებლის და ალფრედ ნობელის შეფასებებში: „დემოკრატია ტირანიის დედაა" და „ნებისმიერ დემოკრატიას ნაძირალების დიქტატურამდე მივყავართ".**

ნუთუ დამოუკიდებელი, სუვერენული სახელმწიფოს ხელისუფლების ყოველი კანონიერი, ობიექტური და სამართლიანი ნაბიჯი თქვენ უნდა აკრიტიკოთ, ეჭვქვეშ დააყენოთ, აბუჩად აიგდოთ, დაემუქროთ სანქციებით, კომისიები და შემმოწმებლები მოავლინოთ ამერიკიდან და ევროპიდან?!

თქვენ იცით, რომ საქართველოდან გაქცეულ, საზღვარგარეთის ქვეყნებს შეფარებულ სახელმწიფო დამნაშავე-კრიმინალებზე – ადეიშვილზე, ლორთქიფანიძეზე, ზღულაძეზე, თარგამაძეზე, ახალაიასა და სხვებზე გამოცხადებულია ძებნა წითელი ცირკულარით, მაგრამ, სამწუხაროდ, თქვენ არც მათ დაპატიმრება-ექსტრადირებაში გვეხმარებით.

მადლობა ღმერთს, სააკაშვილი უკვე დავაპატიმრეთ!

**თქვენ გინდათ საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დათრგუნვა-დაბეჩავება, მონური მორჩილება, უკვე მიაღწიეთ ამასაც – თქვენთან შეთანხმების გარეშე ჩვენი ხელისუფალნი გადაწყვეტილებებს ვერ იღებენ. იცოდეთ, არ გამოგივათ, ქართველი ხალხი ამის უფლებას არ მოგცემთ! მინდა დაგარწმუნოთ, რომ სამართლიანი ხელისუფლება გვყავს, წინამორბედ ურჩხულთან შედარებით, და არ შეიძლება ყოველი ნაბიჯი ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტს, ამერიკის ელჩს საქართველოში, კონგრესმენებს, სენატორებს, ევროკავშირს, ნატოს, ევროსაბჭოს, ევროპარლამენტს, ევროკომისიას შეუთანხმოს!**

**თქვენს კეთილგონივრულ რჩევებს, მოსაზრებებსა და წინადადებებს სიამოვნებით მივიღებთ, დიქტატი კი კატეგორიულად მიუღებელია ჩვენთვის. თქვენ უდიდესი და უძლიერესი ზესახელმწიფო ხართ, უდიდესი სახელმწიფოებრივი მმართველობის გამოცდილებით, ჩვენი სტრატეგიული პარტნიორი გრძანდებით. ამიტომაც გმართებთ ჩვენი პრობლემების გულისყურით მოსმენა, სიღრმისეული განხილვა და გადაწყვეტა. ეს თქვენს შესაძლებლობებს ნამდვილად არ აღემატება. ვიცით, რომ ყველაფერი რიგზე არ გვაქვს. ვცდილობთ, შეცდომები დროულად გამოვასწოროთ.**


ნაცისტების
2007 წლის 7 ნოემბერი

**ჩვენი არჩეული ხელისუფლება ჩვენვე უნდა გავაკრიტიკოთ, მწვავედ ვაკრიტიკებთ კიდეც.**

**თქვენი ექსპერტები ნატოში გაწევრებას გვთავაზობენ, ცხადია, ყველა თქვენი დავალების შესრულების შემდეგ, აფხაზეთისა და სამაჩაბლოს გარეშე. განა ასეთ წინადადებას უნდა გვთავაზობდეს ე.წ. სტრატეგიული პარტნიორი ან ქართველი ხალხი ასეთ უგუნურ წინადადებაზე ოდესმე დაგთანხმდებათ?!**

**ჩვენი ყველაზე მტკივნეული პრობლემა ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა და სუსტი ეკონომიკაა. სამწუხაროდ, ვერც ერთი პრობლემის მოგვარებაში ჯეროვნად ვერ გვეხმარებით!**



საქართველოს დაუძინებელი „მეგობრები" –
ევროპის სახალხო პარტიის ლიდერები

* * *

**საბჭოთა** კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ მრავალი წელი გავიდა. აშშ-მა პირველმა აღიარა ჩვენი დამოუკიდებლობა 1991 წელს. მოგვიანებით კი თქვენი საელჩოს გახსნამ დიდი სიხარული მოგვგვარა. საქართველომ ევროატლანტიკური სივრცისკენ აიღო გეზი, მაგრამ თქვენი ჩვენდამი ქედმაღლური დამოკიდებულების გამო ქართველი ხალხი დაფიქრდა, დაღონდა და იკითხა: რით სჯობს ახალი „სტრატეგიული პარტნიორი" ძველს? რა გაგვიკეთა, რით დაგვეხმარა? ხალხმა გაიხსენა ძველი, თქვენამდე არსებული ურთიერთობები რუსეთთან – ქვეყანასთან, რომელთანაც დიალოგსაც გვიკრძალავთ კეთილმეზობლური ურთიერთობის აღსადგენად.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობები 250-300 წელს მოითვლის. ამ ხნის განმავლობაში იყო ბევრი უარყოფითი, მაგრამ დადებითი – გაცილებით მეტი. რუსეთმა ქართლის, კახეთისა და იმერეთის სამეფოებად, სამცხე-საათაბაგოს, გურიისა და ოდიშის სამთავროებად გააერთიანა დაქუცმაცებული საქართველო; თურქეთს გამოჰგლიჯა ბათუმი და აჭარა. აღკვეთა საქართველოს ისტორიაში ყველაზე სამარცხვინო მოვლენა – აღმოსავლეთის ბაზრებზე ქართველი გოგო-ბიჭების გაყიდვა.

რუსეთთან შეერთებამდე საქართველოში არცერთი სკოლა არ ფუნქციონირებდა.

რომელი ერთი გავიხსენო:

საბჭოთა საქართველოს აღმასვლა გრძელდებოდა 70 წლის განმავლობაში განვითარებული მძიმე და მსუბუქი მრეწველობით, სოფლის მეურნეობით, მეცნიერებით, სპორტით, კულტურით, განათლებით, ტურიზმით...

იყო უფასო განათლება, უფასო მკურნალობა, მიზერული ფასები მედიკამენტებზე, კომუნალურ მომსახურებაზე, ბენზინზე, გაზზე, ელექტროენერგიაზე, წყალზე, ტრანსპორტზე;

უმუშევრობა რა იყო, არც კი ვიცოდით;

საცხოვრებელ ბინებს მოსახლეობა უფასოდ იღებდა – ერთ მილიონ კვადრატულ მეტრზე მეტ საცხოვრებელ ფართს ყოველწლიურად;

აქვე აუცილებლად უნდა გავიხსენო ერთი ისტორია, რომელიც მოსკოვში საკავშირო მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სახალხო მეურნეობის აკადემიაში ჩემს სასწავლებლად წასვლას უკავშირდება.

აკადემიის რექტორი, აკადემიკოსი სერგეევი, როგორც კი გაიგო, რომ ოჯახით უნდა ჩავსულიყავი მოსკოვში, ტელეფონით დაელაპარაკა მოსკოვის მაშინდელ აღმასკომის თავმჯდომარე პრომისლოვს და მეორე დღესვე ოროთახიანი ბინით დამაკმაყოფილეს აკადემიასთან ახლოს, ვერნადსკის პროსპექტზე. ამ ბინის გარდა მქონდა კომფორტული, კეთილმოწყობილი ნომერი აკადემიასთან არსებულ მშვენიერ სასტუმროში.

ურიცხვი სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სატრანსპორტო ობიექტი შენდებოდა საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე. მათი დაკომპლექტება ტექნოლოგიური დანადგარებით, მოწყობილობებით, საკაბელო და ელექტროპროდუქციით, ტექნიკით, მექანიზმებით, სამშენებლო მასალებით ხდებოდა საკავშირო საგეგმო და მომარაგების კომიტეტების მიერ უსასყიდლოდ!

ამ ჩამონათვალმა და კიდევ სხვა მრავალმა სიკეთემ უდავოდ ხელი შეუწყო დემოგრაფიული საკითხის მკვეთრად გაუმჯობესებას. რუსეთთან შეერთებისას საქართველოს მოსახლეობა 450 ათას კაცს შეადგენდა, 1991 წლის დეკემბერში კი – 5,5 მილიონს.

დღეს კი, ვიმეორებ, გაუსაძლისი ცხოვრების პირობების გამო, შრომისუნარიანი მოსახლეობა ქვეყნიდან უცხოეთში გარბის, 2,5 მილიონამდე ადამიანმა სამშობლო მიატოვა. მკვეთრად გაუარესდა დემოგრაფია და ქვეყნის ეკოლოგია. სამწუხაროდ, ხალხში მკვიდრდება ნიჰილიზმი და უიმედობა. მოსახლეობის დიდი ნაწილი დაიღალა და ყველაფერზე ხელი ჩაიქნია.

თქვენს მონა-მორჩილს საკავშირო მასშტაბის მრავალ ობიექტზე მომიწია მუშაობა: მოსკოვში, ჩერნობილ-სლავუტიჩში, სპიტაკსა და ლენინაკანში, ბამზე – იკაბიაში... რომელი ერთი ჩამოვთვალო. მუშაობის პერიოდში საბჭოთა ხელმძღვანელობისგან არასდროს მსმენია დამამცირებელი სიტყვა.

25 წლისაც არ ვიყავი, გიგანტი სამრეწველო ობიექტის მშენებლობის ხელმძღვანელად რომ დამნიშნეს. ობიექტზე ჩამოდიოდნენ საკავშირო მინისტრები, კომიტეტის თავმჯდომარეები, მათი მოადგილეები, საკავშირო ცკ-ის მდივნები და მთავრობის წევრები. არ მახსოვს მათგან მბრძანებლური ტონი, საყვედური. იყო მხოლოდ ურთულესი საკითხების მოსმენა, განხილვა და გადაწყვეტა სახელმწიფო ინტერესების გათვალისწინებით; დახმარება, რათა დროულად ჩაგვებარებინა სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი და ქვეყნისთვის მიგვეცა მაღალხარისხიანი პროდუქცია – სპილენძის კონცენტრატი, რასაც წარმატებით გავართვით თავი.

* * *

**ჩემი აზრით, სახალხო მოძრაობას მაშინ შეიძლება ეროვნული ეწოდოს, თუ ის აღმშენებლობისკენ და არა ნგრევისკენ არის მიმართული. სამწუხაროდ, სწორედ თქვენ მიერ ფარულად წაქეზებული „ეროვნული" მოძრაობით დაიწყო ცხოვრების პირობების გაუარესება – უმუშევრობა, ფასების ზრდა, უპურობა, უგზობა, უშუქობა, სიდუხჭირე, შიმშილი, კრიმინალი, სამოქალაქო დაპირისპირება, ძმათამკვლელი ომები, პოლიტიკური დაძაბულობა, გაუთავებელი კონფლიქტები უაზროდ მომრავლებულ პარტიებს შორის; გაუარესდა დემოგრაფია, შობადობა კატასტროფულად შემცირდა, შეწყდა საბჭოეთის დროს არსებული ეკონომიკური, სამრეწველო, სასოფლო-სამეურნეო, სამშენებლო, სამეცნიერო, კულტურული კავშირები; ჯართად გაიყიდა უამრავი სამრეწველო, სამშენებლო და სხვა დანიშნულების საწარმო.**

ქვეყნის სათავეში მოვიდნენ გამოუცდელი, არაპროფესიონალი კადრები. საქართველოს ხელისუფლებამ მათ მიერ დაშვებული უხეში შეცდომები მოსკოვს გადააბრალა და თქვენი აქტიური ზეწოლით რუსეთი ნომერ პირველ მტრად გამოაცხადა.

**პრეზიდენტ ბუშის საზეიმო მიღებისას თავისუფლების მოედანზე აღმართული ტრიბუნიდან ამერიკელების გამოზრდილმა უმეცარმა პრეზიდენტმა სააკაშვილმა თავის სიტყვაში ხაზგასმით აღნიშნა, საქართველოს მრავალსაუკუნოვანი, ფათერაკიანი ცხოვრების განმავლობაში უამრავ მომხდურთან შედარებით, რუსეთი ყველაზე მზაკვარი და სასტიკი იყოო.**

**სააკაშვილის ნაზოდვარმა მაღალ სტუმარს უდიდესი სიამოვნება მოჰგვარა, მაგრამ ნებისმიერ შეგნებულ, განათლებულ, ისტორიის მცოდნე ქართველს შეურაცხყოფის განცდა გაუჩნდა.**

ქართველი ოპოზიციონერები წარმატებით ართმევენ თავს თქვენ მიერ მიცემულ დავალებას – რუსეთის დაუსრულებელ ლანძღვა-გინებას. ახლა კი სანქციებით ემუქრებით და უწესებთ კიდეც საქართველოს ხელისუფლებას!

**როდემდე შეიძლება ასე გაგრძელდეს?**

**საზოგადოებას ვთხოვ, წარსულის ნოსტალგიით შეპყრობილ პიროვნებად არ ჩამთვალოს. მე კარგად ვიცი დამოუკიდებლობის ფასი, მაგრამ თითქმის მესამედი საუკუნე ცოტა არ არის...**

**როდემდე, ბატონებო?!**
**როდემდე, როდემდე?!**



**ომარ მარგველაშვილი,**
**საინჟინრო აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, აკადემიკოსი, ნიკო ნიკოლაძისა და ნიკო ლორთქიფანიძის პრემიების ლაურეატი.**

# აფხაზეთი დენის, ხელფასების, პროდუქტების, მედიკამენტების გარეშეა დარჩენილი!..



**რუსეთის შურისძიებამ აფხაზეთის მოსახლეობა უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკური პრობლემების წინაშე დააყენა.**

მიუხედავად იმისა, რომ ქართულმა მხარემ და 20 დეკემბერს რუსეთმაც ოკუპირებულ აფხაზეთში დაიწყო ელექტროენერგიის **ჰუმანიტარული** სახით მიწოდება, ვითარება კვლავ კრიტიკულია და მოსახლეობას დენი გრაფიკით მიეწოდება. ათობით ათასი ადამიანი დღის უმეტეს ნაწილს ელექტროენერგიის, გათბობისა და სასმელი წყლის გარეშე ატარებს. სკოლებსა და ბაღებში იძულებითი არდადეგებია გამოცხადებული. შეფერხებით მუშაობენ პურის საცხობები და მომსახურების ობიექტები, რაც მოსახლეობისთვის დამატებით პრობლემებს ქმნის. ასევე, პრობლემებია სამედიცინო დახმარების კუთხითაც. მართალია აფხაზეთის ე.წ. ჯანდაცვის სამინისტრო საავადმყოფოების გენერატორებით მუშაობას ახერხებს, მაგრამ ესეც დამატებით ხარჯებთან არის დაკავშირებული და დიდი რაოდენობით საწვავის მოხმარებას მოითხოვს.

აფხაზეთში ელექტროენერგიის მწვავე დეფიციტს ემატება საბიუჯეტო კრიზისიც: რუსეთიდან ფინანსური დახმარების შეწყვეტის გამო დე ფაქტო რესპუბლიკის მთავრობა ვერ არიგებს ხელფასებს და ვერ გასცემს სოციალურ დახმარებებს. ასევე შეწყვეტილია რუსეთში ციტრუსის გატანაც.

აფხაზეთიდან for.ge-ს ადგილობრივები უყვებიან, რომ მათ ციტრუსი ხეებზე ეყინებათ და ულპებათ. ასევე პრობლემებია ფქვილის, საკვების და მედიკამენტების მარაგზე.

საბიუჯეტო კრიზისის გამო სოხუმი ვერ ახერხებს სამყოფი ელექტროენერგიის შეძენას რუსეთიდან, ენგურჰესი კი, ჯვრის წყალსაცავში წყლის დონის ვარდნის გამო, სანახევროდაც ვერ ახერხებს ზამთრის გამო გაზრდილი დეფიციტის დაფარვას. ვითარების სიმწვავეზე მეტყველებს სოხუმის მოსახლეობის ერთი ნაწილის წერილობითი მიმართვა, რომლის ადრესატი აფხაზეთში მოქმედი პოლიტიკური და საზოგადოებრივი ორგანიზაციებია.

ერთ-ერთი ადგილობრივი, რომლის ვინაობასაც მისი უსაფრთხოებიდან გამომდინარე არ ვასახელებთ, for.ge-სთან ყვება, რომ სიტუაცია აფხაზეთში უმძიმესია. სკოლის მოსწავლეები და სტუდენტები სასწავლებლებიდან დაითხოვეს და ისინი სახლში იმყოფებიან. თუმცა ვითარება იმდენად რთულია, რომ არავინ იცის მოვლენები როგორ განვითარდება.

აფხაზებს ეჭვი აღარ ეპარებათ, რომ კრემლი მათ ურჩობისთვის სჯის. ადგილობრივების აზრით აშკარაა, რომ მოსკოვის მოთმინების ფიალა აავსო ე.წ. საინვესტიციო ხელშეკრულების გამო დაწყებულმა საპროტესტო გამოსვლებმა, რასაც ხელშეკრულების გაწვევა და დე ფაქტო პრეზიდენტის ასლან ბჟანიას გადადგომა მოჰყვა.

**რუსული პროპაგანდისტული მედია არც მალავს, რომ აფხაზეთში მიმდინარე მწვავე ენერგეტიკული და ფინანსური კრიზისი მოსკოვის ერთგვარი პასუხია აფხაზეთის ოპოზიციისა და მთლიანად, საზოგადოების ურჩობაზე და აფხაზებს მატყუარებს და პარაზიტებს უწოდებენ.**

კრიზისი კი 2024 წლის 1 სექტემბრიდან დაიწყო, როცა რუსეთმა შეაჩერა აფხაზეთისთვის სოციალური დახმარება, რომელიც დე ფაქტო რესპუბლიკის პედაგოგებზე, ექიმებსა და სამართალდამცავებზე ნაწილდებოდა. გარდა ამისა, მოსკოვმა გადაწყვიტა, სოხუმისთვის ელექტროენერგია კომერციულ ფასად მიეყიდა.

აფხაზეთში ფიზიკური პირებისთვის დენის ტარიფი 1,4 რუბლია (1,3 ცენტი), იურიდიული პირებისთვის – 2,4 რუბლი და ეს მაშინ, როცა რუსულ ელექტროენერგიაში სოხუმი 4 რუბლს იხდის, სხვაობას ანაზღაურებს დე ფაქტო რესპუბლიკის ბიუჯეტი, რომელიც ასევე უმძიმეს კრიზისშია რუსეთიდან ფინანსური დოტაციის შეწყვეტის გამო.

**აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკაში ელექტროენერგიის კრიზისს ერთიორად აღრმავებს მოხმარებული დენის საფასურის დაბალი მაჩვენებელი და კრიპტოვალუტის არალეგალური მაინინგი, რომელსაც კორუფციის გამო ადგილობრივი ხელისუფლება არაეფექტიანად ებრძვის.**

* * *

**ოკუპირებულ** აფხაზეთში შექმნილი ენერგეტიკული კრიზისი აფხაზმა ოპოზიციონერებმა ლევან მიქავამ და ილია გუნიამ „ენგურჰესის“ გენერალურ დირექტორ ლევან მებონიასთან განიხილეს. გალის რაიონის სოფელ საბერიოში შემდგარი საუბრის ვიდეოჩანაწერი სააგენტო „აიაშარამ“ გაავრცელა.

ოპოზიციის წარმომადგენლებმა იკითხეს, რატომ იყო ნოემბრისთვის „ენგურჰესის“ ჯვრის წყალსაცავში წყლის დონე კრიტიკულად დაბალი?! მებონია პასუხობს, რომ აფხაზური მხარე ელექტროენერგიას გადასახადის გარეშე იღებს. გარდა ამისა, ივლისის შუა რიცხვების შემდეგ იყო არახელსაყრელი კლიმატური პირობები და გვალვა.

მებონიას თქმით, ვითარება მკვეთრად არ შეიცვლება 2025 წლის მარტამდე და შესაძლოა, მხოლოდ ოდნავ გაუმჯობესდეს თებერვალში.

მან ე.წ. ოპოზიიცის წარმომადგენლებს ჰკითხა, რამდენი ადამიანი ცხოვრობს აფხაზეთში, ოპოზიციის ლიდერმა ლევან მიქავამ კი უპასუხა, რომ 244 ათასი, რაზეც მებონია პასუხობს, რომ თბილისში 1,5 მილიონი ადამიანი ცხოვრობს, მაგრამ დენის მოხმარება იგივეა, რაც მთელს აფხაზეთში.

„ასეთი შეთანხმება, რომ უფასო უნდა ყოფილიყო აფხაზებისთვის დენი, არასდროს ყოფილა. უბრალოდ, აფხაზური მხარე არ იხდის. თუ გადაიხდით 40 პროცენტის ღირებულებას, მაშინ სურათი სულ სხვა იქნება“, – განუმარტა ენგურჰესის დირექტორმა აფხაზებს.

**რუსული პროპაგანდისტული მედია არც მალავს, რომ აფხაზეთში მიმდინარე მწვავე ენერგეტიკული და ფინანსური კრიზისი მოსკოვის ერთგვარი პასუხია აფხაზეთის ოპოზიციისა და მთლიანად საზოგადოების ურჩობაზე და აფხაზებს მატყუარებს და პარაზიტებს უწოდებენ.**

**კონფლიქტოლოგი ზურაბ გენდიანიშვილი** for.ge-სთან ამბობს, რომ, რა თქმა უნდა, ეს არის კრემლის შურისძიება იმისთვის, რომ აფხაზებს ჭკუა ასწავლოს იმ წინააღმდეგობის გამო, რომელიც საინვესტიციო კანონთან დაკავშირებით აფხაზეთის მოსახლეობამ მოაწყო. გენდიანიშვილი მიიჩნევს, რომ კრემლი ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ ამ კანონის მიღება მოხდეს და აფხაზების წინააღმდეგ წნეხს კიდევ უფრო გააძლიერებს.

„ცნობილი გახდა, რომ რუსები აფხაზეთს ელექტოენერგიას ჰუმანიტარული დახმარების სახით მიაწვდიან. ეს გულისხმობს იმას, რომ, როცა მოუნდება რუსეთს ამ დახმარებას მაშინვე შეწყვეტს. ეს არის კარგად ორგანიზებული და გათვლილი გეგმა კრემლის მხრიდან, რათა აფხაზებს მათი წინააღმდეგობის საფასური აჩვენოს. კრემლი არ აპირებს კანონის უკან წაღებას, რომელიც აფხაზეთის ტერიტორიაზე რუსული ინვესტიციის განხორციელებას გულისხმობს. ამიტომ ეს მძიმე წნეხი მანამდე გაგრძელდება, ვიდრე აფხაზები არ გატყდებიან. ფაქტია, რომ ახლა ე.წ. მთავრობასთან და პოლიტიკურ ელიტასაც ისევ კრემლთან კომუნიკაცია მოუწევს, რადგან აფხაზებს გადარჩენის სხვა გზა არ აქვთ. ვიცით, რომ ასევე შეწყვეტილია ფინანსური დახმარება, არ ხდება ხელფასების გაცემა, ასევე ვერ გააქვთ რუსეთში პროდუქტი. ამიტომ ვითარება კიდევ უფრო გართულდება და, რა თქმა უნდა, აფხაზეთი დგას ჰუმანიტარული კატასტროფის წინაშე.

არავინ არ აპირებს, რომ აფხაზებს მუდმივად ანგარების გარეშე დაეხმაროს და მათგან არაფერი მიიღოს. მეორე მხრივ, აფხაზებიც შეჩვეულები არიან მუქთად ცხოვრებას. ადრე იყო და თბილისის ხარჯზე ცხოვრობდნენ, დენიც უფასო ჰქონდათ და ფულადი დახმარებაც. ახლა კი რუსეთის ხარჯზე ცხოვრება უნდათ. სწორედ დენის საფასურის გადაუხდელობამ და უფასო ელექტროენერგიის მიწოდებამ გამოიწვია ის, რომ კორუფციის უდიდესი კერა გაჩნდა კრიპტოვალუტის არალეგალური მაინინგის სახით. ამით კი, ისევ უბრალო ხალხი დაზარალდა და ერთეულმა მდიდარმა ადამიანებმა ისაგრებლეს. ამიტომ არის, რომ მიუხედავად თბილისში ბევრად მეტი მცხოვრები ადამიანისა, აფხაზეთი ზუსტად იგივე ელექტროენერგიას მოიხმარს, რამდენსაც ჩვენი დედაქალაქის მოსახლეობა“, – ამბობს გენდიანიშვილი.

**თუმცა კითხვაზე, გააჩენს თუ არა ეს აფხაზებში ანტირუსულ განწყობებს, გენდიანიშვილი ამბობს, რომ სამწუხაროდ, აფხაზები კიდევ ვერ ხვდებიან რეალურ მიზეზებს, რის გამოც ისინი ამ მძიმე მდგომარეობამდე მივიდნენ.**

**„რა თქმა უნდა, აფხაზებს არ სურთ იმ რეალობას გაუსწორონ თვალი, რაშიც დღეს აღმოჩნდნენ. ამას არ აბრალებენ პირდაპირ რუსებს და ისევ ფიქრობენ, რომ ეს პრობლემა მოგვარებადია. ყველა სხვა მიზეზს ასახელებენ იმის მაგივრად, რომ რეალურ პრობლემაზე ისაუბრონ და ღიად თქვან, რომ რუსები მათ კანონის გამო სჯის. რუსეთი კი, როგორც ჩანს, აფხაზებისთვის თავზე ხელის გადასმას აღარ აპირებს. მან დაიწყო პოლიტიკის ცვლილება და ეს უკრაინის ომის შემდეგ ძალიან შესამჩნევია. აფხაზებს დასჯის კრემლი მანამდე, სანამ საკუთარ მიზნებს არ მიაღწევს. ეს მკაცრი ხელი უკვე გამოაჩინა და, სამწუხაროდ, არავინ იცის სადამდე გაგრძელდება“, –** ამბობს გენდიანიშვილი.

**ლიკა ბერიკაშვილი**





**ლევან მებონია: ასეთი შეთანხმება, რომ უფასო უნდა ყოფილიყო აფხაზებისთვის დენი, არასდროს ყოფილა. უბრალოდ, აფხაზური მხარე არ იხდის. თუ გადაიხდით 40 პროცენტის ღირებულებას, მაშინ სურათი სულ სხვა იქნება.**

## კრასნოდარის მხარეში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა!

**შავ ზღვაში ორი ტანკერის ჩაძირვის შედეგად ნავთობპროდუქტების დაღვრის გამო, რუსეთის კრასნოდარის მხარეში საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა.**

ამის შესახებ კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ვენიამინ კონდრატიევი ტელეგრამ-ახრში წერს.

ზღვაში ნავთობპროდუქტების ჩაღვრის გამო, მანამდე საგანგებო მდგომარეობა მუნიციპალურ დონეზე მოქმედებდა ანაპასა და ტემრიუკსკის რაიონში.

„სამწუხაროდ, ნავთობპროდუქტების ანაპისა და ტემრიუკსკის რაიონის სანაპიროზე გამოტანა არ წყდება. თავდაპირველად, მეცნიერებისა და სპეციალისტების გათვლით, მაზუთის ძირითადი მასა შავი ზღვის ფსკერზე უნდა დარჩენილიყო, რაც წყალში მისი შეგროვების საშუალებას მოგვცემდა. თუმცა ამინდი თავის პირობებს კარნახობს, ჰაერი თბება და ნავთობპროდუქტები ზედაპირზე ამოდის. შედეგად მოხდა ნავთობპროდუქტების ჩვენს სანაპიროებზე გამორიყვა“, – აღნიშნავს გუბერნატორი.



**ცნობისთვის,** ნავთობპროდუქტებით დატვირთული ორი რუსული ტანკერი 15 დეკემბერს რუსეთის მიერ ანექსირებული ყირიმის სანაპიროსთან ახლოს ჩაიძირა.

# ვანო ჩხიკვაძე

## ...ნუთუ დამთავრდა, ნუთუ მშვიდობას მშვიდობა უკვე დაემშვიდობა?!



### გავროში

ქუჩის ბარიკადზე,
იმ დროში,
ამ დროში
სულ დგას დედისერთა აჩრდილი გავროშის.

მწუხარე დროშები
ვიდრე თავს დახრიან,
იკითხე, იქ სადაც ტყვია და ნაღმია,
ყველა დაწყევლილი დროის „შლაგბაუმთან“
ზვარაკად შესაწირ ბავშვებს რაღა უნდათ.

ჯავრი მომინელებს –
არ უნდა გაგვეშვი –
ვის უნდა სამყარო ბერწი და უშვილო,
არ გაიმეორო „ოთხმოცდაცამეტი“,
ეგ მკერდი შაშხანას აღარ მიუშვირო!

გეყოფა, „მხატვარო“,
ფერთა პალიტრაზე
მხოლოდ აზელილი სისხლი და ცრემლია,
ვეღარ გრძნობს მშობლიურ შვებას და სინაზეს
რაც „დაგიხატია“ ანდა „გიწერია“

გაქეზებს ბრძოლისთვის ბარიკადის ღობე,
როცა ვეღარ არჩევ უცხოს და შენიანს,
დიდების „თამაშში“ვინ ისვრის ხის თოფებს,
„მუშკეტებს“ ნამდვილი ტყვიებით ტენიან!

ყველა დაწყევლილი
დროის „შლაგბაუმთან“
ზვარაკად შესაწირ ბავშვებს რაღა უნდათ!

ტოტიდან მოწყვეტილ,
ნატყვიარ ჩიტივით,
იწვა და სიკვდილის სიცივით გათოშილს,
თითქოს შესტიროდა, ჩუმად მოქვითინე,
ძახილის ნიშნები – ცალ–ცალი კალოში.

მომავალს ავსული ადვილად ჩამოშლის,
როდესაც სიყვარულს იღბალი არ სწყალობს,
დღესაც,
ბარიკადთან,
კვლავ მიჰყავთ „გავროში“
გულქვა სიძულვილის „ ენა“ რომ ასწავლონ!...

იკმარე „მხატვარო“
შავბნელი ნახშირით
მომავლის პორტრეტი არ მოავარაყო,
ღმერთო, ამღვრეული დროება მაშინებს,
„განაყოფი“ ძმა რომ ძმის სისხლზე ბალახობს–

ან გამომაფხიზლე,
ან თუ დამაძინებ
ეს ავი სიზმარი „მეტი“ არ მანახო!
09.12.2024

### ქეთევან!

უკადრებელი როცა გაკადრეს
და გაუსაძლისს რომ გაუძელი,
განწამებული, ვიდრე სიცოცხლე
გაფრინდა, როგორც ქარში ფურცელი.
ნაზიარები სისხლის ზედაშით,
მიახლებული წმინდა ნეტარებს,
ქრისტეს სახელით,
ლოცვით, დედა შვილს –
ობოლ სამშობლოს გადაეფარე!..

ქვაც კი ღაღადებს –
„ნურცა იხაროს!“ –
როცა ამინდი ისევ პირქუშობს,
ხსოვნის ტკივილი არ გაგვიქარვო –
ეგ ჭრილობები არ მოიშუშო!..

ყოველთვის, როცა
ლაღი, თავნება,
მწყრებს დააფეთებს ქართლის მიმინო,
გელოდებიან ქსანზე ალვები
ფეხქვეშ ჩრდილები რომ გაგიფინონ!

მოხვალ,
ბავშვობა კვლავ პეპლებს მისდევს,
მიმოფანტული წითელ მძივებად,
ყაყაჩოებით, მუხრანის მინდვრებს
გულისპირი რომ დაეწინწკლებათ.

ჰო, დედოფალო,
კვლავ შეიმოსე,
სული მხნეობის მადლით აღივსო –
საფიცარ „ხატთან“ ახლაც ილოცე,
სასუფეველის დიასახლისო!

*

გაასხვისეს და დაანაკუწეს:
კაცი არა ჩანს:
– რატომ? – იკითხოს,
როგორ იპოვნის აბა „საყუდელს,“
თავი საბრალომ „სად მიიდრიკოს?!“

ააბრიალეს ბოღმის საკირე,

ხელი მოითბეს, როგორც ენებათ,
ნაძრახ სიცოცხლეს ვინც არ თაკილობს,
სარკეში თავის თავს ეფერება.

უჭერო „სახლს“ თუ აწვიმს და ათოვს,
მისი ნაშობი ფოთოლი თუ ხარ,
ბალიშზე თავი ვერ უნდა დადო,
როცა ფესვები უხმებს „მუხას.“

ჩვენი ჯილაგის, უცხო კალთაში,
გამრავლებულო ჩვილის ტიტინო,
ფუძის ანგელოზს
მეტი რა დარჩა –
დაჯდეს და თავი გამოიტიროს!

*

ქარები ზამთრის შემორეკილი
შემოგახევენ სამოსს, იფანო,
გავაღებ სარკმელს
ტყიდან დევნილი
ხმელი ფოთოლი რომ შევიფარო.

აღებულ ციხის საკეტურებით,
ნოემბრის ბოლოს,
ურჩს და თავნებას –
პირქუშ დეკემბერს
თავმოდრეკილი
ეს შემოდგომაც მიეახლება.

ავი თვალი გდევს, რომ ვერ წამოდგე,
ხან შინაურის,
ხან გარეულის
თავისუფლებას ვინ გიწყალობებს
თუ არ გაჰყარე სულთან სხეული.

წუთისოფელის უხმო წუწუნმა
ძვლები დაადნო,
ხსოვნა დაღალა,
პატივი ეცი გამზრდელ ძუძუს და
ჩვენთვის დამაშვრალ ღმერთის ჭაღარას.

შენკენ სავალ გზებს ვინც არ დაეძებს,
სასუფევლისთვის როგორ აკურთხებ,
როგორ შეუნდობ
მოღალატე ძმებს,
დედის სამარეს რომ დააფურთხეს.

და სულერთია, აქ ხარ, იქა ხარ,
რადგანაც ერთხელ გულით გაგენდე,
შენთვის კი არა, ჩემთვის მიყვარხარ,
რომ არ წავიქცე და გადავშენდე!

ძნელია, თავდაღუნულ ფარაში –
უიმედობის მთესავ ნაყარში,
მხნე ერკემალი გამოარჩიო,
რომ გაგვიძღვეს და ახლაც გადარჩე.

არც ეს სიტყვები გადაივლიან,
თუმც ცა თბილი და მიწა გრილია,
მწარეა, მაგრამ მაინც ტკბილია
და არ გეთმობა ეს „იდილია“...

გადამავიწყებს ზამთრის ყიამეთს
ლივლივა ცაში მზე რომ ბანაობს,
როცა დასიცხულ ველს უნიავებს
ციცქნა პეპელას ფრთების მარაო.

*

რაც გქონდა დახარჯე –
სამღერი იმღერე,
თანდათან ეჩვევი
გულმავიწყ სიბერეს.

რად ჩაქრა ის მთვარე,
სად გაქრა ის ქალი –
დაიწყო აღმართი,
დასრულდა სიზმარი.

ჩავლილი „სპექტაკლის“ –
იმ მოდის, ამ მოდის,
ტანსაცმლის რეკვიზიტს
ინახავს „კამოდი“.
გონება უმწიფარ
სტრიქონებს იწველის –

თუ ახსოვს ამ პიჯაკს,
მიმოხვრა იმ წელის!

საკიდზე პერანგი
თეთრი, უსახელო,
წითელი „პომადით“
ნაკოცნი საყელო.

რატომ არ გეძახის,
რომ „ხილი იხილო“ –
ლეკვივით მიბმული
საყურე ბიბილოს?

ნუ მეტყვი, აღარც მე
არ გკითხავ, რა მოსდის,
ღამით რად ტორტმანებს
მთვრალივით „კამოდი“.

თავკერის „მტევნებს“ რად
გახსენებს, ვნებიანს,
მკერდზე რომ ჩამოჭკნენ
ან უკვე ჭკნებიან!

დროა სხვა მიენდოს
თავნება კამათელს,
კარადის ბურუსში
მხოლოდ შენ ანათებ –
გამოღვიძებულო
ხსოვნის ჟრუანტელო,
წითელი „პომადით“
დაჭრილო საყელო!

### ხარება

კახა რუსიძეს

ვიცი რატომაც დაიარება
იმ ავბედითი დეკემბრის შემდეგ,
შავი ღრუბელი –
ნატყვიარები,
აქამდე სტეხენ ქაშვეთის კედლებს.

ვერ მთელდებიან სულში ბზარები,
ჩვენი ბედია თუ უბედობა,
მარიამს და ყრმას
ერთი ყარიბი,
ყველას მაგიერ შესთხოვ შენდობას.

მოდის „ხარება,“
მიეახლება,
ქალწულს ღვთის მაცნე
ფეხაკრეფილი,
გაამხნევებენ ზარებს ზარები
სამრეკლოებზე ჩამორეკილი!..

როცა მზედ გვადგას წმინდა სამება,
უბით ნატარებ
ნათელს, უქრობელს –
ღვთიური ცეცხლი რომ არ განელდეს
მუხლმოდრეკილმა მოუმყუდროვე!

### ფიქრი!

ნუთუ დამთავრდა,
ნუთუ მშვიდობას
მშვიდობა უკვე დაემშვიდობა,
რომ გადავურჩეთ ამ წყალდიდობას,
ვინ შეკრავს-მეთქი ახალ კიდობანს?!

ოთხივე მხრიდან ვინ მოძალაობს,
გადაღმერთილო ციხევ, უკარო,
ყულფში, რომელიც
ცხვირწინ ქანაობს
თავი ხელახლა რომ გაუყარო.

ზეცა ბანივით ვიდრე ჩაიქცა,
იმედს ვინც ბოლო ღამე უთია,
ხომ უნდა მიხვდეს
რომ დედამიწა
ნემსის საჩხვლეტი საპნის ბუშტია.

ვერ გაითენებს დილას უმზეოდ
შენი იღბალით ვინც თამაშობდა –
იჯექი-მეთქი,ფიქრო, უმწეო
და არ გამოყო თავი საშოდან!

### გადაძახილი

„გაგვიბატონდა, მგოსანო,
სირეგვნე შეუწონარი.“
ვაჟა

ამ ტიალ წუთისოფელთან,
რა ვქნა, რომ ვერც მე მოვრიგდი,
ვყაყანებ, განა არ ვიცი,
რას ვთესავ, რასაც მოვიმკი!

ჯოჯოხეთს ჩავალ, არ მინდა
სამოთხეც მე ნასხვისარი,
დაბრმავებულმა თუ ჩემი
მტერ-მოყვარე ვერ ვიცანი!

აქეთ – აჩრდილი „ლუხუმის“
გადამთიელის, ვერაგის,
მეორადი და ნახმარი
ჩაშლილი ჯაჭვის პერანგით.

იქით –
ვინ წარმოიდგენდა,
მოხდილ ჩიქილა-თავშლითა,
„ბახტრიონ-გალავანთან“ თუ
„სანათა“ კარავს გაშლიდა.

რაც ხდება, ძალად მაცხონე,
გადამთიელის გულს უნდა –
ჩაჰკიდე, ხელი, ურსულას,
შედით კარავში გულსუნდა!

ბამბას რომ მიაჩხრიალებ
„მიმღერე მუზავ,“ რა მოგდის,
თავს რამდენჯერაც მოიჭრი
იმდენჯერ ისევ ამოგდის!

პანტა გულაბი ჰგონიათ –
„მანავს“ უჯოკრავს „ტეკილა,“
ის მოსწონთ,
საპირფარეშოს
წიაღში რაც დაწერილა!

თვალახვეული თემიდა
ჰგონიათ შეცვლის განაჩენს,
ლექსშიც სოდომის მსახური
უკანალს მიათამაშებს.

ვერცხლი შენ სულსაც ანათებს–
გაცხადდა, გამომზიურდა,
რამდენჯერ უნდა დაუწვე
„მუზავ“ დედაკაც იუდას

ვის შევეკითხო,
ვინ გვეტყვის,
როგორღა უნდა გადავრჩეთ,
თუ არ მოვუჭერთ „ქამანჩებს“
ერი ვეღარ შობს „ლამანჩელს.“

ქვისქვეშეთიდან რამდენი
გამოძვრა ჩვენი მძრახველი,
ზოგი „ძირძველი“ მტერია,
ზოგის – არ ითქმის სახელი!

თავზე დაგვეცა აჩრდილი
პრეისტორიულ მამონტის –
ტირაჟით, მხოლოდ კერკეტი
უვიცობის მზე ამოდის.

როგორ იმძლავრა ეშმაკმა,
რა უსაშველო გვეტაკა,
დიდი თამარის ტახტი რომ
მივართვით „უცხო“ დედაკაცს.

ქუჩებს კი არა, „საცობი,“
ყურებში „ჭედავს“, ეცობა,
მთავარ გამზირზე რა უნდა
ამდენ „ღვარძლას“ და „ლენცოფას.“

დაიწყო ჩვენი უდაბნო –
აღთქმულ ქვეყნამდე შორია,
მე რომ მოყვარე მეგონა,
თურმე ცოცხალი მძორია!..

შემოუძახე, „ძველ ხანჯალს,“
ქართული „მიწის მარილო“,
პოეტო –
„ცხელი გული“ რომ
აცოცხლოს ლექსის ალილომ!..

მეტი რაღა ვთქვა,
უფალო,
გაგვიჯეჯილდა „ნახირი“,
გულში გვჭირს, გულში რჯულძაღლის
ზურგში ჩარტყმული მახვილი,

ვერ გადავახტით ბარიერს
უიმედობით დაღლილი –
მოგვხედე,
„თავისუფლების“
ულაყს ამოსდე აღვირი!

**24.12.2024**

◎ ბაკურიანი – 2025

# მშვიდობის ცეცხლი საქართველოშია!

**თბილისში ბაკურიანი – 2025-ის მშვიდობის ცეცხლი ჩამოიტანეს, რომელიც ოლიმპიურ ჩემპიონს ლაშა ბექაურს გადაეცა.**

ევროპის ზამთრის ახალგაზრდული ოლიმპიური ფესტივალის მშვიდობის ცეცხლი იტალიის დედაქალაქ რომში გამართულ სიმბოლურ ცერემონიაზე აინთო.

მომავალი პრესტიჟული ფორუმი გაისად 9-16 თებერვალს სპორტის 8 სახეობაში ჩატარდება, რომელსაც სპეციალურად აღნიშნული მოვლენისთვის ბაკურიანში, თბილისსა და ბათუმში მოწყობილი ულტრათანამედროვე ინფრასტრუქტურა უმასპინძლებს, საქართველო კი მერვე ევროპული ქვეყანა გახდება, რომელსაც მსგავსი როგორც ზაფხულის, ისე ზამთრის კომპლექსური ასპარეზობა ექნება მიღებული.

დავძენთ, რომ თვენახევარში 2000-ზე მეტი სტუმარი და 1000-ზე მეტი მონაწილე გვეწვევა, რაც განსაკუთრებულ როლს ითამაშებს ჩვენში ზამთრის ტურიზმისა და თეთრი სეზონის სპორტის სახეობათა განვითარებაში.



◎ ო, ენავ ჩემო...

**ენა ცოცხალი ორგანიზმიაო, ამბობენ. ის მუდმივად ვითარდება და გასამდიდრებელ ერთ-ერთ წყაროდ ნასესხობას იყენებს. ქართველებს უწინ ეს, ეტყობა, ცუდად გვქონდა გაცნობიერებული.**

სტუდენტობისას გაზეთებში თანამშრომლობა რომ დავიწყე და სპორტსმენებს დავუახლოვდი, მათგან ხშირად მსმენია – „ტრენერმა მასწავლა“, „საღამოს ტრენიროვკაზე მივდივარო“, მაგრამ ეს სიტყვები სტატიაში რომ გამომეყენებინა, დაბეჭდვას ვინ ჩივის, რედაქციის ახლოს გავლასაც ამიკრძალავდნენ, წერა-კითხვის უცოდინარი ხარო ან „რუსეთუმეობას“ დამწამებდნენ (მაშინ ასე გვეგონა, „ტრენერი“ და „ტრენიროვკა“ რუსეთიდან მოდიოდა, თურმე ინგლისური არ ყოფილა?!).

ქართულად **„მწვრთნელი“** და **„წვრთნა“** უნდა გვეთქვა და დაგვეწერა. აი, როგორც დავით გურამიშვილი ბრძანებს: „...ეგრეთ ახალი მოზარდი ყრმა ოსტატს – **გასაწვრთნელადა**“, „მშობელთა შვილი **უწვრთელი** აროდეს მისცემს ლხენასა“...

მაგრამ ახლა რა დროს გურამიშვილობაა, 21-ე საუკუნეა და **„ტრენერი“** და **„ტრენინგი“** მოდური სიტყვებია, ოფიციალურად დაკანონებული, რადგან ინგლისურიდან მოდის.

მეტიც, ბოლო დროს სამარქაფო სახელსახებაც შემოგვაშველეს - **„ქოუჩი“** და **„ქოუჩინგი“**.




# მე ქოუჩი მირჩევნია

ცხადია, **„წვრთნა“** და **„მწვრთნელი“** რას მიედრება მათ.

ისე, მართალი გითხრათ, **„ტრენერს“ „ქოუჩი“** მირჩევნია და იცით რატომ?..

ვის აღნიშნავს **„ქოუჩი?“** პიროვნებას, რომელმაც რაღაც უნდა მასწავლოს, ცოდნა უნდა მომცეს. **„მომეცი“** კი მეგრულად არის **„ქომუჩი“.** ეტყობა, ინგლისურმა ენამ თავის დროზე მეგრულისგან ისესხა ეს სიტყვა და ახლა ფონეტიკური სახეცვლილებით დაგვიბრუნდა - **„ქო(მ)უჩი“.**

ასე რომ, **„ტრენერს“ „ქოუჩი“** მირჩევნია. სხვა თუ არაფერი, მეგრული წარმომავლობა მაინც აქვს.

**ვაჟა დანელია**

◎ რაგბი ჩვენი თამაშია

# წინწილები დაავითვალეთ

**ქართულმა რაგბიმ საანგარიშო ყრილობაზე წარმატებული წელი შეაფასა. კლუბების წარმომადგენელთა მხრიდან ხაზი გაესვა ეროვნული ნაკრების ბოლოდროინდელ მიღწევებს, რომელმაც 2022 წლიდან დღემდე ტიერ1-ის ქვეყნებთან სამი ისტორიული გამარჯვება მოიპოვა (იტალიასთან, უელსთან და იაპონიასთან) და სარაგბო გრანდებს თამაშის ხარისხით მაქსიმალურად დაუახლოვდა.**

თავის მხრივ, რაგბის კავშირის პრეზიდენტმა **იოსებ ტყემალაძემ** მადლობა გადაუხადა კლუბებს, რომელთა ჩართულობის გარეშე ბორჯღალოსნებს აღნიშნული პროგრესი ვერ ექნებოდათ. ასევე აღინიშნა ამ წარმატებაში სახელმწიფოს, „ქართუ ჯგუფის“ და ქართული რაგბის მეგობარი კომპანიების როლი.

**„ქართულმა რაგბიმ, ჩვენმა ტრადიციულმა თამაშმა ლელობურთმა მთელს მსოფლიოს დაანახა ქართული გენეტიკის ძალა. ისტორიულად ყოველთვის ასე იყო, ჩვენს პატარა და ამაყ ერს გამუდმებით უწევდა დიდ ქვეყნებთან, იმპერიებთან ბრძოლა და ხშირ შემთხვევაში ერთიანობითა და თავდადებით აღწევდა მიზანს. სამი ისტორიული გამარჯვებით, ჩვენ მთელს მსოფლიოს დავანახეთ ქართული სული და ეს გზა აუცილებლად მიგვიყვანს მსოფლიო რაგბის მწვერვალებთან“** – აღნიშნა იოსებ ტყემალაძემ.

მან, აღმასრულებელმა დირექტორმა **თორნიკე გოგებაშვილმა** და გამგეობის თავმჯდომარემ **დავით კაჭარავამ**, დამსწრეებს 2024 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში ჩააბარეს. შეხვედრას ესწრებოდა საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელი ქალბატონი **თამარ მამაგულაშვილი,** რომელმაც სარაგბო ოჯახში მიმდინარე მოვლენების შესახებ სრულყოფილი ინფორმაცია თავად მოისმინა.

გასული წლის შეფასებისას დიდი ყურადღება დაეთმო დასრულებულ, მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებს. 2023 წელს რაგბის კავშირს “ქართუსგან“ 14 სარაგბო ბაზა გადაეცა, რომელთაც გასული წლის



განმავლობაში ჩაუტარდათ რეაბილიტაცია: განახლდა და შეიცვალა როგორც ბუნებრივი, ასევე ხელოვნურსაფარიანი მოედნები; მოეწყო ან განახლდა სატრენაჟორო დარბაზები; რეაბილიტაცია ჩაუტარდა გასახდელებს და შენობებს; მოეწყო რეკრეაციული სივრცე.

დამსწრე საზოგადოებას მიეწოდა ინფორმაცია მიმდინარე და დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ. სარაგბო ბაზების მოწყობა მიმდინარეობს ჩაქვში, ქობულეთში, შუახევსა და წყალტუბოში; განათლების სამინისტრო ინფრასტრუქტურულ პროექტებს განახორციელებს ამბროლაურში, ლენტეხში, სურამში, ვარკეთილში, კისისხევსა და ავჭალაში; საქართველოს მთავრობის ხელშეწყობით მომდევნო სამი წლის განმავლობაში იგეგმება ყაზბეგის, საგარეჯოს, ხაშურის, თბილისის ზღვის, რუსთავის, ზესტაფონის, ვარკეთილის მეურნეობის, ოზურგეთის, გურჯაანის, მესტიის, ჭიათურა/საჩხერის, ბოლნისის და დედოფლისწყაროს სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობა; რაგბის კავშირი საკუთარი შემოსავლებით ეტაპობრივად გეგმავს „ვისოლის“, ქუთაისის და მარტყოფის სარაგბო ინფრასტრუქტურის მშენებლობას, ასევე „ავჭალის“ სტადიონზე დამატებითი ტრიბუნის მოწყობას. მიმდინარეობს უნივერსიტეტის ქუჩისა და ლისის ტბის სარაგბო ინფრასტრუქტურის პოტენციალის ანალიზი; სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, რაგბის კავშირს საკუთრებაში გადაეცა ვარკეთილის მეურნეობის, არმაზის სტადიონის, ვისოლის, მარტყოფის, ხაშურის და თბილისის ზღვის მოედნის მიწის ნაკვეთები.

◎ ოქტაგონზე

# აბანოში გამოჩნდება

## „მატადორს“ გაუჭირდებაო“







**UFC-ს მსუბუქი წონის ჩემპიონის ისლამ მახაჩევის მწვრთნელმა ხავიერ მენდესმა ილია თოფურიასა და ჩარლზ ოლივეირას შესაძლო ჩხუბზე ისაუბრა და განაცხადა, რომ „მიუხედავად იმისა, რომ თოფურიას ძლიერი დარტყმები და კარგი კრივი აქვს, ოლივეირას ჩამოწერა ასე მარტივად არ შეიძლება. ის ჩემპიონი შემთხვევით არ გამხდარა, მან დაამტკიცა, რომ ყველა კომპონენტში ერთ-ერთი საუკეთესოა. ვფიქრობ, თუ ეს ბრძოლა შედგება, ილიას მისი დამარცხება გაუჭირდება.“** – განაცხადა მენდესმა.

შეგახსენებთ, რომ ილია თოფურიამ რამდენიმე კვირის წინათ წონის შეცვლის და მაისში ჩარლზ ოლივეირასთან ბრძოლის სურვილი გამოთქვა.

◎ ბენდელას თასი

# მარად ჩვენთან

**იყო დრო, როცა აფხაზეთის ომში დაღუპული ახალგაზრდა ფეხბურთელის ზაზა ბენდელიანის მემორიალს თბილისის სპორტის სასახლის მაყურებლებით გადაჭედილი ტრიბუნები მასპინძლობდა სეზონის ბოლოს ლეგიონერთა მონაწილეობით და ეს იმ 90-იან წლებში ხდებოდა, რომლებიც სხვა მრავალ უკეთურობასთან ერთად უშუქობის პერიოდადაც გვახსენდება ხოლმე.**

მას შემდეგ, რომ იტყვიან, ბევრმა წყალმა ჩაიარა, მაგრამ, საბედნიეროდ, კეთილ ადამიანთა და, გამორჩეულად, ზაზას მეგობართა ძალისხმევით, ტრადიცია გრძელდება და ამ დღეებში სფფ-ის დიდი დიღმის ტექნიკურ ცენტრში ბენდელას თასის უკვე საერთაშორისოდ ქცეული 34-ე გათამაშება დასრულდა 16, მათ შორის 2 ყაზახური გუნდის მონაწილეობით.

**ფინალი**. თბილისის ლოკომოტივი – ალმაათის ქაირათი 1:0.

**მატჩი მე-3 ადგილისთვის**. თბილისის ინტერი – სამტრედია 5:1.

ზაზას გამოსახულებით დამზადებული მედლებით და პრიზებით დაჯილდოვდნენ საუკეთესონი: ნიკოლოზ ჩიხლაძე, თემირლან ჰალმირატოვი, ერდოს ბალთაბაი, მუჰამედ მურთაზალიევი, გაბრიელ გოგელაშვილი, ნიკოლოზ ბაღანაშვილი, ანდრია სოსელია (**ქართლოს ჯუმბურიძის** სახელობის პრიზი), ლაშა კვარაცხელია, საბა სუჯაშვილი (ტურნირი საუკეთესო ფეხბურთელი).

ლაურეატებს ჯილდოები ბენდელას ოჯახის წევრებმა და მეგობრებმა გადასცეს.






## სასამართლომ მიხეილ სააკაშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვა

**მოსამართლე მიხეილ ჯინჭოლიამ საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონო კვეთაში ბრალდებული ყოფილი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი კვლავ პატიმრობაში დატოვა.**

25 დეკემბრის სხდომაზე, მას შემდეგ, რაც მტკიცებულებების გამოკვლევა დასრულდა, ადვოკატმა ბექა ბასილაიამ მოითხოვა, რომ მიხეილ სააკაშვილისთვის აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული პატიმრობა გაუქმებულიყო.

სახელმწიფო ბრალდება აღნიშნულ შუამდგომლობას არ დაეთანხმა.

მოსამართლე მიხეილ ჯინჭოლიას განმარტებით, ახალი დანაშაულისა და მიმალვის საფრთხეები კვლავ არსებობს.

ცნობისთვის, მიხეილ სააკაშვილის მიერ საზღვრის უკანონო კვეთის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება 2021 წლის პირველ ოქტომბერს დაიწყო.

## ქურდაძე გაბუნიას საჯარო რეესტრში „უჩივის“

**„მთავარი არხის“ დირექტორმა გიორგი ქურდაძემ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს მიმართა განცხადებით, დაარეგისტრიროს ცვლილება ტელეკომპანიის გენერალური დირექტორის გიორგი გაბუნიას თანამდებობის დატოვების შესახებ. დოკუმენტი 24 დეკემბრით თარიღდება.**

„მთავარი არხის“ დირექტორის ამ განცხადებას თან ახლავს 29 ნოემბერს გიორგი გაბუნიას მიერ დამფუძნებლებისთვის მეილზე გაგზავნილი წერილიც, გენერალური დირექტორის თანამდებობის დატოვების შესახებ. ქურდაძე „მთავარი არხის“ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილებას სწორედ მეილზე გაგზავნილი წერილის საფუძველზე მოითხოვს.




## 16 წლის მოზარდის დაჭრის საქმეში ახალი დეტალები გამოიკვეთა!

**16 წლის მოზარდის დაჭრის საქმეში ახალი დეტალები ხდება ცნობილი. მომხდარის შესახებ კიდევ ერთხელ საუბრობს დაზარალებულის დედა.**



დედის განცხადებით, მის შვილს ერთ-ერთი ძალადობრივი, ფაშისტური დაჯგუფების წევრები დაესხნენ თავს, რომლებიც მას მანამდეც ემუქრებოდნენ. მისი თქმით, იყო შემთხვევა, როდესაც ძალადობრივი ჯგუფის წევრებმა ნიღბებით მას სკოლაშიც მიაკითხეს.

16 წლის მოზარდი ამ დრომდე კლინიკაში რჩება. 14 წლის არის თავდამსხმელიც, რომელსაც ბრალი გუშინ წაუყენეს.

„ნეონაცისტები არიან, ჩაცმულობაზე, მაისურებზე შეხედეთ რა აცვიათ, ემბლემებზე შეხედეთ“, – განაცხადა დაჭრილი მოზარდის დედამ „კურიერთან“.

დაჭრილის მასწავლებლის თქმით კი, 16 წლის მოზარდის გადაბირება ვერ შეძლეს და მას აბულინგებდნენ, თუმცა ბოლოს ბიჭი ამბობდა, რომ აღარ აწუხებდნენ.

„ვერ გადაიბირეს, რადგან მე გიორგისთან მქონდა კომუნიკაცია და ამ საკითხზე ვისაუბრეთ. მე და გიორგი ძალიან ახლოს ვართ ერთმანეთთან და ძალიან ბევრჯერ გვისაუბრია. ბოლოს მითხრა, მე აღარ მაწუხებენო. რა თქმა უნდა, აბულინგებდნენ“, – განაცხადა დაჭრილის მასწავლებელმა.

## დააკავეს თაღლითები!

**საქართველოს პროკურატურამ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურთან და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურთან ერთობლივად ჩატარებული ღონისძიებების შედეგად, დიდი ოდენობით თანხის თაღლითურად დაუფლებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე სამი პირი დააკავა. ინფორმაციას პროკურატურა ავრცელებს. უწყების ცნობით, სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენისა და მხილების მიზნით.**

„ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ საქართველოს გენერალური პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტში 2022 წლიდან მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების ფარგლებში, ცალკეულ პირთა დანაშაულებრივ საქმიანობის ფაქტზე პროკურატურის მიერ, სასამართლოს შესაბამისი განჩინების საფუძველზე ამოღებულ იქნა დანაშაულში მონაწილე პირთა კუთვნილი რამდენიმე მილიონი ლარი, ასევე დაყადაღდა მათ საკუთრებაში არსებული ძვირადღირებული უძრავი ქონებები. დაკავებულებმა ისარგებლეს შექმნილი სიტუაციით და 2021-2022 წლების პერიოდში, დანაშაულის ერთ-ერთ ორგანიზატორს, რომლის კუთვნილი აქტივებიც ამოიღო და დაადაღა პროკურატურამ, სხვადასხვა უწყების მაღალი თანამდებობის პირების სახელით, დანაშაულებრივი საქმიანობის მფარველობისა და პროკურატურაში მიმდინარე გამოძიებაში მისთვის სასარგებლო გადაწყვეტილების მიღების ცრუ დაპირებით, ეტაპობრივად, მოტყუებით გამოართვეს 2 460 000 აშშ დოლარი, რასაც მართლსაწინააღმდეგოდ დაეუფლნენ და ურთიერთშორის გაინაწილეს.



შემდგომში კი, ფულის გათეთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებული თანხების დანაწევრებით და მათი უკანონო წარმომავლობის შენიღბვით, დაკავებულებმა თავის, ოჯახის წევრების და ნათესავების სახელზე შეიძინეს ძვირადღირებული უძრავ-მოძრავი ქონებები, რა გზითაც განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია განახორციელეს.

მიმდინარე გამოძიების ფარგლებში, დაყადაღებული იქნა ბრალდებულების დანაშაულებრივი შემოსავლით შეძენილი ძვირადღირებული ქონებები და საბანკო ანგარიშებზე არსებული თანხები.

დაკავებულებს ბრალდება თაღლითობის და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტებზე წარედგინათ, რაც სასჯელის სახედ და ზომად 9-დან 12 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბრალდებულებს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა შეეფარდათ.

სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიება გრძელდება დანაშაულში მონაწილე სხვა პირთა გამოვლენისა და მხილების მიზნით“, – ნათქვამია ინფორმაციაში.

## არდავიწყება

### დილარ ივარდავა



წლეულს, 28 დეკემბერს, 85 წელი შეუსრულდებოდა...

ის იყო გამოჩენილი ქართველი პოეტი, პუბლიცისტი, მთარგმნელი, ესეისტი, მრავალი სახელმწიფო პრემიების ლაურეატი.

დილარ ივარდავა იყო თხემით ტერფამდე ეროვნული მოღვაწე, დიდი ქართველი, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთ-ერთი გამორჩეული ლიდერი, ის ვერაფრით ვერ გადაიბირეს „პუტჩისტებმა“, სადაც მისი მეგობარი პოეტები და მწერლების უმეტესობა აღმოჩნდა.

დილარ ივარდავას დარჩა შესანიშნავი შვილები – ირინა და ირაკლი, რძალი ნაილი ბოკუჩავა, მრავალი შვილიშვილი და შვილთაშვილი.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი უკვდავი, სპეტაკი სული.

**რომულ ჯიქია ოჯახით.**

## ავიაკატასტროფა ყაზახეთში

**ყაზახეთში მომხდარ ავიაკატასტროფას 28 ადამიანი გადაურჩა, – ამის შესახებ ინფორმაციას ყაზახეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტრო ავრცელებს.**

მათივე ცნობით, დაშავებულებს შორის ორი ბავშვია, ხოლო ცხრა ადამიანის მდგომარეობა მძიმეა.

ყაზახეთის პრეზიდენტმა ყასიმ-ჟომართ თოყაევმა სახელმწიფო კომისიის შექმნის ბრძანება გასცა, რომელიც ავიაკატასტროფის მიზეზს გამოიძიებს.

ადგილობრივი მედიის ინფორმაციით, აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ილჰამ ალიევმა ავიაკატასტროფის გამო რუსეთში ვიზიტი შეწყვიტა და სიტუაცია პირადი კონტროლის ქვეშ აიყვანა.

რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თვითმფრინავი აზერბაიჯანული თვითმფრინავის ჩამოვარდნის შემდეგ სამედიცინო პერსონალითა და აღჭურვილობით აქთაუში გაფრინდა.

ავიაკომპანიის ინფორმაციით, თვითმფრინავის ბორტზე ეკიპაჟის 5 წევრი და 62 მგზავრი იმყოფებოდა, რომელთაგან 37 აზერბაიჯანის, 16 რუსეთის, 6 ყაზახეთის და 3 ყირგიზეთის მოქალაქეა.



## სამძიმრის წერილი ილჰამ ალიევს

**საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ აზერბაიჯანის პრეზიდენტს ილჰამ ალიევს 25 დეკემბერს მომხდარ ავიაკატასტროფასთან დაკავშირებით სამძიმრის წერილი გაუგზავნა, – ინფორმაციას მთავრობის ადმინისტრაცია ავრცელებს.**

„საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის სახელით გისამძიმრებთ თქვენ და აზერბაიჯანელ ხალხს. ამ მწუხარების ჟამს, ჩვენ ვდგავართ მოძმე აზერბაიჯანელი ხალხის გვერდით და თანავუგრძნობთ გარდაცვლილთა ოჯახის წევრებს. ვუსურვებთ სწრაფ გამოჯანმრთელებას დაზარალებულებს. თქვენო აღმატებულებავ, ნება მიბოძეთ დაგიდასტუროთ, რომ ჩვენ ვიზიარებთ თქვენი და მეგობარი აზერბაიჯანელი ხალხის მწუხარებას და გიცხადებთ თანაგრძნობას ამ მძიმე წუთებში“!

## შეტაკება ბაშარ ასადის მომხრეებსა და სამართალდამცველებს შორის

**სირიაში, ტარტუსის რეგიონში დამხობილი პრეზიდენტის ბაშარ ასადის მომხრეებსა და სამართალდამცველებს შორის შეტაკება მოხდა, რის შედეგადაც 14 პოლიციელი დაიღუპა. ინფორმაციას Reuters-ი ავრცელებს.**

შეტაკების შედეგად ასევე დაშავდა 10 სამართალდამცველი. სირიის ახალმა ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ მკაცრ ზომებს მიიღებს ყველას წინააღმდეგ, ვინც გაბედავს, შეარყიოს ქვეყნის უსაფრთხოება ან საფრთხე შეუქმნას მისი მოქალაქეების სიცოცხლეს.

რა გახდა არეულობის მიზეზი უცნობია, თუმცა ადგილობრივები ამბობენ, რომ დემონსტრაციები დაკავშირებული იყო ბოლო დღეებში ალავიტების წევრებზე განხორციელებულ ზეწოლასა და ძალადობასთან. ალავიტები დიდი ხნის განმავლობაში ასადის ერთგულად ითვლებოდნენ.

ვულოცავთ!

# ბადრი კაკაბაძე

დაბადებიდან 70 და სამსახიობო მოღვაწეობის 50 წელი შეუსრულდა კინოსა და თეატრის ცნობილ მსახიობს ბადრი კაკაბაძეს.



იგი დაიბადა 1954 წლის 25 დეკემბერს.

1975 წელს დაამთავრა შ. რუსთაველის სახელობის თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი (თუმანიშვილის სახელოსნო).

იმავე წელს დაიწყო სასცენო მოღვაწეობა კინომსახიობთა თეატრში. 1976 წლიდან არის რუსთავის გიგა ლორთქიფანიძის სახელობის დრამატულ თეატრში. მონაწილეობდა სპექტაკლებში: ,,რევიზორი“, ,,მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“, ,,რას იტყვის ხალხი“, ,,საბრალდებო დასკვნა“, ,,დარისპანის გასაჭირი“, ,,კვარტეტი“ და მრავალი სხვა.

პარალელურად მუშაობს კინოში. პირველად გამოჩნდა ნანა მჭედლიძის ფილმში ,,გასეირნება თბილისში“ (1976წ). ამას მოჰყვა მთავარი როლები თ. ფალავანდიშვილის ფილმში ,,რაჭა ჩემი სიყვარული“ (1977წ.), ლ. გორდელაძის ფილმში ,,აქედანადა შენამდე“ (1984წ.). მონაწილეობდა ფილმებში ,,იმერული ესკიზები“ (ნ. მჭედლიძე 1979წ.) , ,,ყოჩაღ, პაპებო“ (ნ. ნენოვა და გ. წულაია 1981წ.), ,,უკვდავების თეთრი ვარდი“ (ნ. მჭედლიძე 1984წ.), ,,წყარო“ (დ. ხოჯავა 1985წ.), ,,ოჰ ეს საშინელი, საშინელი ტელევიზორი“ (თ. ფალავანდიშვილი 1990წ).. ასევე მონაწილეობდა სატელევიზიო სპექტაკლში ,,ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“ (რეჟისორი კ. კახაბრიშვილი).

თავისი ხალასი ნიჭიერებით, სცენური მომხიბვლელობით, იუმორით და მეგობრობის გასაოცარი გრძნობით ქართველ მაყურებელში დიდი სიყვარული და პოპულარობა მოიპოვა.

ვულოცავთ ბატონ ბადრის ამ საიუბილეო თარიღებს და ვუსურვებთ ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს.

მეგობრების სახელით

**ირაკლი (კუკური) ბეძაია**

ძვირფასო მკითხველო!

გაზეთის გამოსაწერად დაუკავშირდით:
elva.ge: 577-30-88-47
,,პლანეტა ფორტე“: 577-55-66-73

* * *

გთავაზობთ ტენდერების, აუქციონების, ვაკანსიების, ყოველგვარი რეკლამის, საიუბილეო და სამგლოვიარო განცხადებების განთავსებას გაზეთ ,,საქართველოს რესპუბლიკაში“.
განცხადების ტექსტი შეგიძლიათ გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
sak@sak.ge
rkobulia29@gmail.com
ან მობრძანდით რედაქციაში:
თბილისი, აკ. წერეთლის 116, ,,დიდუბე პლაზას“ შენობა, IV სართ. ოფისი №448, ტელ;
577-772717, 599360035

# ხანძრის შემდეგ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში პირველად აღნიშნეს შობა

**ხანძრის გაჩენიდან 5 წლის შემდეგ პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში პირველი საშობაო მესა ჩატარდა.**

შობის ღამეს საკათედრო ტაძარში ოთხი განსხვავებული წირვა გაიმართა. ღვთისმსახურების დროს მღვდელმა ჰენრი დე ვილფრანშმა თქვა, რომ ტაძარი რწმენის, ერთიანობის და იმედის სიმბოლოა.

ინფორმაციისთვის, 2019 წლის 15 აპრილის გამანადგურებელი ხანძრის შემდეგ, ნოტრ-დამი საზოგადოებისთვის დეკემბრის დასაწყისში გაიხსნა. ხუთწლიანი სარესტავრაციო სამუშაოებისთვის მთელი მსოფლიოდან 960 მილიონი ევრო იქნა შეწირული.



# თეთრთავა არწივი აშშ-ში ეროვნულ ფრინველად აღიარეს

**თეთრთავა** არწივი ოფიციალურად აშშ-ის ეროვნული ფრინველი გახდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა ამის შესახებ კანონპროექტს მოაწერა ხელი.



„თეთრთავა არწივი განასახიერებდა ამერიკულ ღირებულებებს მას შემდეგ, რაც იგი 1782 წელს გერბზე განათავსეს“. – განაცხადა პრესტონ კუკმა, რომელიც თეთრთავა არწივის ეროვნულ სიმბოლოდ აღიარების კამპანიას წლების მანძილზე ედგა სათავეში.

კუკის თქმით, „ამ კანონპროექტით, პატივს მივაგებთ მის ისტორიულ როლს და ვამყარებთ მის ადგილს ჩვენს ეროვნულ ფრინველად და როგორც ეროვნული იდენტობის სიმბოლოდ“.

აღნიშნული კანონპროექტის გარდა ჯო ბაიდენმა შობის ღამეს კიდევ 50-მდე კანონპროექტს მოაწერა ხელი.

თეთრთავა არწივი აშშ-ის ეროვნულ ფრინველად არაოფიციალურად მიიჩნეოდა მას შემდეგ, რაც იგი პირველად აშშ-ს გერბზე გამოჩნდა. ის აშშ-ს, როგორც ერის, სუვერენულობის სიმბოლოს წარმოადგენს.

თეთრთავა არწივი ასევე ქვეყნის პრეზიდენტის დროშაზე, წარმომადგენელთა პალატის კვერთხზე, სამხედრო ნიშნებსა და ერთდოლარიან კუპიურაზეა გამოსახული.

# ელტონ ჯონის ახალი ცვილის სკულპტურა „მადამ ტიუსოს“ მუზეუმში



**ლონდონის** „მადამ ტიუსოს“ ცვილის ფიგურების მუზეუმმა სტრუქტურულად რთული ფიგურა წარადგინა. **Rocket Man** – ასე ჰქვია ელტონ ჯონის ფიგურას, რომელიც მუსიკოსს ჰაერში, გრავიტაციისგან თავისუფალ გარემოში ასახავს.

ფიგურა 20 დეკემბერს წარადგინეს. ის სიმბოლურად გამოხატავს ელტონ ჯონს მისი კარიერული აღმავლობის ეტაპზე. სკულპტურა შთაგონებულია 1975 წლის **Midsummer Music**-ის ერთდღიან ფესტივალზე შესრულებული მუსიკალური პერფორმანსით. ფიგურა ხელებით პიანინოს ეხება, ძვირფას ქვებით მორთულ კოსტიუმშია გამოწყობილი და მუსიკოსის იმიჯისათვის დამახასიათებელი ექსტრავაგანტური სათვალეები უკეთია.

როკ-ენ-როლის დიდების დარბაზის წევრი მომღერალი „მადამ ტიუსოს“ მუზეუმის ხელოვანებთან ჯერ კიდევ 1976 წელს თანამშრომლობდა, როდესაც მისი პირველი ფიგურის შესაქმნელად ზომები აიღეს.

„მადამ ტიუსოს“ ლონდონის მუზეუმში ელტონ ჯონის ფიგურა ახლა ისეთი საკულტო ვარსკვლავების გვერდით დგას, როგორიცაა ბიონსე, ედ შირანი, დუა ლიპა, ემი უაინჰაუსი, ფრედი მერკური და დევიდ ბოუი.

არტისტის წვლილი მუსიკალურ სამყაროში მრავალმხრივ არის აღიარებული. მას სხვადასხვა დროს მიუძღვნეს საფოსტო მარკების კოლექცია, გადასცეს უამრავი ჯილდო. მუსიკოსზე ასევე გადაღებულია ბიოგრაფიული ფილმი **Rocketman**.

საქართველოს რესპუბლიკა
www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი
**სპარტაკ ქობულია**
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
**მამუკა ვაშაკიძე**
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,**
**თემურ ქორიძე,**
**ოთარ ტურაბელიძე,**
**გია პლატონიშვილი,**

პიარისა და მარკეტინგის მენეჯერი
**რუსუდან ქობულია**
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,**
**მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
**შორენა გვილია.**

დამკაბადონებლები
**გიორგი მახარაშვილი,**
**არჩილ სიხარულიძე.**

გაზეთის განახლებული ლოგოს ავტორი
**გიორგი ნადარეიშვილი**

**მისამართი:**
თბილისი. აკაკი წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ ელექტრონულ მისამართზე:**
sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. რედაქციის აზრი, შესაძლოა, არ ემთხვეოდეს ავტორთა მოსაზრებებს.

ფაქტების სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია. რედაქცია პასუხს არ აგებს სოციალური ქსელიდან და სხვა მედია-საშუალებებიდან გადმობეჭდილ, ან უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.

იბეჭდება სტამბა
,,კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ორშაბათს, 30 დეკემბერს